პროლეტარეტებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 მარტი კვირა 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 65 (15582)

ვადაზე ერთი წლით ადრე

ნევინომისკის ქიმიური კომბინატის, „სტავროპოლქიმმშენის“ სამშენებლო ტრესტისა და სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სამონტაჟო ორგანიზაციათა კოლექტივებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ნევინომისკის ქიმიური კომბინატის, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს „სტავროპოლქიმმშენის“ სამშენებლო ტრესტისა და სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სამონტაჟო ორგანიზაციათა კოლექტივებს დიდ შრომითს გამარჯვებებს: დადგეხილ ვადაზე ერთი წლით ადრე მინერალური სასუქების წარმოების უდიდესი სამრეწველო კომპლექსის მშენებლობის დამთავრებას და ხიმძლავრეთა ვადამდე ათვისებას, ჩვენს ქვეყანაში პირველი ამიაკის დიდტონაჟიანი აგრეგატის აშუშავებას, რომლის სიმძლავრეა 400 ათასი ტონა წელიწადში, და მის წარმატებითს ათვისებას.

თქვენმა კოლექტივებმა, რომლებმაც წამოიწყეს სოციალისტური შეჯიბრება ახალ სიმძლავრეთა ვადამდე ამოქმედებისა და ათვისებისათვის და მიმდინარე ხუთწლედში მინერალური სასუქების ზეგეგმითი გამოშვებისათვის, პირნათლად შეასრულეს 1972 წლის ნაკისრი ვალდებულებანი.

მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ წელს იკისრეთ, ღირსეული პასუხია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებაზე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ მინერალური სასუქებისა და ქიმიური მანქანათმშენებლობის ყველა საწარმოსა და მშენებლობის კოლექტივები მიბაძავენ თქვენს მაგალითს, მთელ თავიანთ ძალღონეს, ცოდნას, უნარსა და გამოცდილებას მოახმარენ ხიმძლავრეთა უსწრაფეს გადიდებასა და მათს ვადამდე ათვისებას, მინერალური სასუქების წარმოების გადიდებას, სოფლის შეურნეობის ქიმიზაციის დარგში მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

ახალ შრომითს წარმატებებს გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა დეპეშა გულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. კოსიგინმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ტოდორ ჟივკოვს და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ სტანკო ტოდოროვს. დეპეშაში ნათქვამია:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით და პირადად გულითადად გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, მთელ მომძე ბულგარელ ხალხს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 25 წლისთავს.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის 1948 წლის ხელშეკრულება იყო ფუძემდებელი დოკუმენტი, რომელმაც განამტკიცა ჩვენი ქვეყნების ახალი ურთიერთობა, ნამდვილი მეგობრობის, სრული თანასწორუფლებიანობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ურთიერთობა საერთო მიზნების — სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საკეთილდღეოდ. საბჭოთა ადამიანები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ წარმატებით ვითარდება და ღრმავდება სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობა, რაც არა მარტო შეესაბამება ჩვენი ორი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, არამედ აგრეთვე ემსახურება მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებს, ეფექტიანად უწყობს ხელს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალმა ხელშეკრულებამ, რომელსაც საოფიციო მოვაწერეთ ხელი 1967 წლის 12 მაისს, განამტკიცა ჩვენი ძმური კავშირი, ხელშემწყობი პერსპექტივები შეუქმნა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უფრო მჭიდრო თანამშრომლობას, ხაფდა მოჰქმედი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის განსახიერება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ბულგარეთის კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირი და ბულგარეთი სავსებით ერთი აზრისა არიან როგორც ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე, ისე თანამედროვე საერთაშორისო პრობლემებზე. ამის მკაფიო დადასტურება იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში 1972 წლის ნოემბერში.

საბჭოთა კავშირის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განამტკიცონ ჩვენი ხალხების ძმური სოლიდარობა, რომლებსაც აკავშირებთ ურღვევი მეგობრობა, ერთობლივი ბრძოლა მშვიდობის, პროგრესისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელოვანი იუბილეს დღეს გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, გულსურვებთ მთელ მომძე ბულგარელ ხალხს ახალ დიდ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში, სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და შეკავშირებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

დიდ მეგობრებო! და ყოველის საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურღვევი მეგობრობა!

ა. ნ. კოსიგინი მოსკოვში დაბრუნდა

16 მარტს ირანიდან მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც ირანის მთავრობის მიწვევით ხანმოკლე მეგობრული ვიზიტით იყო ირანში.

ვნუკოვოს აეროდრომზე ა. ნ. კოსიგინს შეხვდნენ ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი, ფ. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, ფ. ა. ლესეჩკო, ე. ტ. ნოვიკოვი, ლ. ვ. სმირნოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირები. (საკდსი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი რესპუბლიკის მთელი რიგ საწარმოთა კოლექტივების პატრიოტული ინიციატივის შესახებ, რომლებმაც გადაწყვიტეს მიმდინარე ნლის 21 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების დღის აღსანიშნავად მოაწყონ კომუნისტური შაბათობა.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოვის მოწინავე სმრეწველო საწარმოებს — ლენინგრადის ხელოვნური საკვამლიანი ქარხნის, მოსკოვის ხანარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოსა და სხვა კოლექტივებს თაოსნობას, რომლებმაც გადაწყვიტეს 21 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების დღისადმი, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება შაბათობის დღეს გამოუშვას 8 სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი და მეცხრე ხუთწლედის ფონდში შეიტანოს 3,5 ათასა ნაზეთი. აქტიური მონაწილეობა მიიღოს საწარმოს ტერიტორიის, საწარმოო ნაგებობების, საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობასა და დასუფთავებაში.

აქტიურად ემზადებიან შაბათობისათვის თბილისის სახელმწიფოს სარჯზე აუნაზღაურეს 108 მანეთი სამუშაოს იძულებითი გაცდენისათვის. საგულისხმოა, რომ სასაბაზალიაზე თვით ამბ. შათარიშვილს აოაფერი არ ჰქონდა საწინააღმდეგო, ვ. ტაბატაძის სათუალიზე აღდგენისა.

ერთეული შემთხვევა რომაა, რომ პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტები კასონის საწინააღმდეგოდ, დათხოვნის დასტურს იძლევიან ისა შედეგ, რაც ადმინიტრაცია ხელი ძოაწყოს ბრალისებას. პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების ეს და სხვა დარღვევები ცხადყოფენ, რომ ზემდგომი პროფკავშირული ორგანოები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ ძირეულ პროფკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობას მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნიას. შრომის კანონმდებლობის უმკაცრესად დაცვა საქმეში.

მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის საქმეთა განხილვის დროს ხერხიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს სახალხო სასამართლოების საქმიანობას. სახალხო სასამართლოები, რომლებიც ფოუოდებული არიან დაიცვან შრომის კანონმდებლობა, ყოველთვის როდი არიან იმ მოთხოვნების დონეზე, რომლებსაც მათ კანონი უყენებს. სახალხო სასამართლოები იმით, რომ ზოგჯერ იცავენ აიოეს, რომლებიც სამართლიანად დაითხოვეს ადმინისტრაციამ და პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, უპირისპირდებიან შრომითს კოლექტივებს, მათს პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

მაგალითად, ქალაქ გორის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამბ. ა. ი. ძეზვრიშვილი) უკანონოდ აღადგინა სამუშაოზე გორის უნივერსალის გამყიდველი თ. ა. ოგანიანი, რომელიც პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თანხმობით სამუშაოდან დაითხოვეს ვაჭრობის წესების უხეში დარღვევებისათვის, მაშინ როცა იმავე სასამართლომ ანალოგიურ შემთხვევაში ავსებული საბაბრეთიანად არ დააკმაყოფილა იაკეი უსავეშმადის გამყიდველის ხ. შ. კრიხელის სარჩელი.

ანალოგიური ფაქტი მოხდა ქალაქ ზუგდიდის სასამართლოში (თავმჯდომარე ამბ. ვ. ვ. ქაცითაია), სადაც მიუხედავად იმისა, რომ „საკვაჭრობის“ ზუგდიდის განყოფილების № 19 სასადილოს მებუფეტემ ვ. ვ. შამათავამ აშკარად დაარღვია ვაჭრობის წესები, იგი სასამართლომ უკანონოდ აღადგინა წინანდელ თანამდებობაზე.

სათანადო პრინციპულობას არ იჩენენენ შრომის კანონმდებლობის ბოროტ დარღვევთა მიმართ ტროკურატურის ორგანოები. სასამართლო პრაქტიკის განზოგადების პროცესში ისინი სასამართლოების ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ძალზე იშვიათად აბამენ საქმეში მესამე პირებად და არ აკისრებენ პერსონალურ პასუხისმგებლობას ამა თუ იმ მუშაკის უკანონოდ დათხოვნისათვის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შრომის კანონმდებლობის დარღვევების პროფილაქტიკაზე. ხშირია შემთხვევა, როცა სამუშაოზე აღდგენის საქმეებს განიხილავენ უპრიკურორდ.

სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები არ ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა აღკვეთონ მანკიერი პრაქტიკა, როცა სამუშაოს იძულებითი გაცდენისათვის კონპენსაციის თანხას მუშაკს აძლევენ სახელმწიფოს სახსრებიდან, მაშინ როცა კანონით გათვალისწინებულია ამ თანხის გადახდა უკანონოდ დათხოვნამი დანშამავეთა ხარჯზე, ესე იგი საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, საზოგადოება „ცოდნა“ რესპუბლიკური გამგეობა, გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა კომიტეტი, რესპუბლიკური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების რედაქციები ჯერ კიდევ სათანადო პროპაგანდას ვერ უწევენ საბჭოთა შრომის კანონმდებლობის საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნისას შრომის კანონმდებლობის განუხრელად დაცვას, დაადგინა:

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა შეისწავლონ სამუშაოდან მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის საკითხთა გადაწყვეტა, განსხორციელონ საჭირო ღონისძიებანი ამ საქმეში სათანადო წესრიგის დასამყარებლად და იმ პირთა მკაცრად დასასჯელად, რომელებმაც დაარღვიეს შრომის კანონმდებლობა, მოსთხოვონ პარტორგანიზაციებს, რომ ფართოდ იყენებდნენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას.

საქართველოს პროფსაბჭომ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის ფაქტების აღკვეთის მიზნით ქმედითი კომტროლი უნდა გაუწიოს პროფკავშირის ადგილობრივ ორგანოებს, თუ როგორ ახორციელებენ მუშაკთა დათხოვნის საქმეში მათთვის მინიჭებულ უფლებებს. განსახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიებანი, რათა მოქალაქეთა შრომის უფლებების დაცვის საქმეში ეამაღლოს პროფკავშირული ორგანოების როლი და ავტორიტეტი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა სისტემატურად უნდა შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ეს დადგენილება, და მკაცრად დასაჯონ ის პირები, რომლებიც უხეშად არღვევენ საბჭოთა შრომის კანონმდებლობას.

საქართველოს სსრ პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უაღრესად ეარსაკმაოდ წარიმართებ მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის დროს შრომის კანონმდებლობის დაცვის უზრუველსაყოფად და ამ მიმართულებით სუსტია ეროფილაქტიკური საქმიანობა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ეინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური გამგეობა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა ძირეულად უნდა გააუმჯობესონ შრომის კანონმდებლობის პროპაგანდა, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ ინფორმაციის არსებული საშუალებანი, რათა საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს განუმარტონ შრომის კანონმდებლობა, უფრო ხშირად გამოაქვეყნონ კრიტიკული მასალები ამ საკითხებზე.

აღინიშნა, რომ საავტომობილო ტრანსპორტის (ამბ. თ. ნ. დავითაშვილი), ვაჭრობის (ამბ. ვ. ზ. თოხაძე), ჯანმრთელობის დაცვის (ამბ. ვ. გ. ბოჭორიშვილი), განათლების (ამბ. თ. ვ. ლაშქარაშვილი), საბჭოთა მეურნეობების (ამბ. მ. ბ. ლეონიძილია), კვების მრეწველობის (ამბ. ა. ვ. ხუროძე) სამინისტროები და „ცეკავშირის“ გამგეობა სათანადო კონტროლს არ უწევენ შრომის კანონმდებლობის დაცვას მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის საკითხის გადაწყვეტისას.

შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის, რაც გამოიხატა იმით, რომ მუშა ვ. ა. ტაბატაძის დათხოვნის საკითხი არ შეუთანხმა პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის „საქტყეთესლის“ რესპუბლიკური კანტორის უფროსს ამხ. ა. გ. შათირიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევისა და „საქვაჭრობის“ ზუგდიდის განყოფილების № 19 სასადილოს მებუფეტის ვ. ვ. შამათავას ან ზეგეგმის შესახებ სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილების გამოტანისათვის ქალაქ ზუგდიდის მოსამართლეს ამხ. ვ. პ. ქანთარიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური საარიცხვო ბარათში შეტანით.

შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევისა და გამყიდველ ტ. ა. ოგანიანის სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილების გამოტანისათვის ქალაქ გორის სახალხო მოსამართლეს ამხ. ა. ი. მეზვრიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საარიცხვო ბარათში შეტანით.

(საქინფორმი).

საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ყველა მუშაკს, ვეტერან მუშათა კლასის ახალგაზრდა შევსებას.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის არსებობის მახანძლზე საქართველოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში პირველი შრომითი წრთობა მიიღო 260 ათასზე მეტმა მუშამ. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის მატერიალური და კულტურული დოვლათის შექმნაში, აკეთებენ ხალხის, საბჭოთა სამშობლოს სამსახურის მაგალითს.

ახლა ჩვენი ქვეყანა, ასრულებს რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, წარკეტს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზული მასშტაბის ამოცანას. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი განეკუთვნება რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას, რომელიც ახალგაზრდობის პროფესიული მომზადების, მუშათა კლასის ღირსეული შევსების ჩამოყალიბების ძირითადი ასოლა უნდა გახდეს.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები მრავალნი არიან უფრო გადაჭრით სრულყონ ახალგაზრდობის პროფესიული მომზადება, მისცენ მას საფუძვლიანი ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნა, რათა მოამზადონ კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული, შეგნებული, აქტიური მშენებლები.

მიმდინარე ხუთწლედში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის თავადი მიმართულებაა საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ფართოდ განვითარება. ისეთი კვალიფიციური მუშების მომზადება, რომლებიც სავსებით შეესაბამებიან მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის მოთხოვნებს, ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრება.

ზოგადი საშუალო განათლების მქონე კვალიფიციური მუშების მომზადება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მასწავლებლებსა და საწარმოო სწავლების ოსტატებს, ყველა მუშაკს. საქმის წარმატება დამოკიდებულია მათი ცოდნის დონეზე, უნარზე, პედაგოგიურ ოსტატობაზე. მასწავლებლები და ოსტატები დღენიადაგ უნდა იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, განუწყვეტლივ იმდიდრებდნენ ცოდნას მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში, ეუფლებოდნენ მოწინავე გამოცდილებას, სრულყოფდნენ სასწავლო-აღზრდელობითს პროცესს.

ზრუნვა მუშათა კლასის ღირსეული შევსების აღზრდისათვის მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა.

ახალგაზრდობის აღზრდაში, მის პროფესიულ მომზადებაში უფრო დიდ როლს ასრულებენენ შრომითი კოლექტივები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, რესპუბლიკური პრესა, რადიო და ტელევიზია, მთელი საზოგადოებრიობა.

სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, განამტკიცონ მათი მატერიალური ბაზა, აღჭურვონ თანამედროვე მოწყობილობით, მუდამ იზრუნონ ფიზიკურ, ჭარხნებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სწორად გამოყენებისა და შენარჩუნებისათვის. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა კოლექტივების საქმიანობას შეუნელებელი ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ოსტატები, მასწავლებლები, ყველა მუშაკი ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა წარმატებით შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი სახელოვანი მუშათა კლასის ახალგაზრდა შევსების მომზადების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

ეს დღეები ფერმებში

მეცხოველეებო! მთელი ძალები მოვახმაროთ პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდებას, სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

გუშინ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში დაიწყო დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოწინავე ადამიანები.

ამ შრომითი დათვალიერების პირველ დღეს სასახელოდ შეხვდნენ არაერთი რაიონის მეცხოველეები, ფერმები და მათი მუშაკები.

თელაველებმა ორთვენახევარში სულ მოწველეს 5.800 ცენტნერი რძე ნაცვლად შარშან მიღებული 4.900 ცენტნერისა. სახელმწიფოს მიუყიდა 2.272 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.640 ცენტნერისა. ასევე გადაჭარბებით შესრულდა პირველი კვარტალის რძის მიყიდვის გეგმა.

ქარელის რაიონში ფერმების დათვალიერებისას მოწონება დიმოსახურა ქარელის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ვ. ბრიგაძე) მეცხოველეობის ფერმამ. აქ ორთვენახევარში მოწველეს 322 ცენტნერი რძე ნაცვლად შარშან მიღებული 292 ცენტნერისა.

შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდნენ ზღვიერის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ნ. რობიტაშვილი), ბრეთის (დირექტორი ნ. კვიციანაძე), დედოფლის (დირექტორი ი. გამგებელი) და რუისის (დირექტორი დ. ეგნატაშვილი) საბჭოთა მეურნეობები, რომლებმაც შარშანდელთან შედარებით ერთ ძროხაზე წველადობა 35-45 კილოგრამით გაზარდეს.

რაიონში სულ მოწველილია 4.568 ცენტნერი რძე ნაცვლად შარშან მიღებული 4.015 ცენტნერისა. ერთ საფურაე ძროხაზე მატება 43 კილოგრამია.

ბახტრიონის რაიონის მეელეფეურის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე შ. ბაბილაძე) მეცხოველეობის ფერმის მუშაკებმა ორთვენახევარში შარშან ამავე პერიოდთან შედარებით ერთ ძროხაზე მიიღეს 28 კილოგრამით მეტი რძე. ხორცისა და რძის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება 20 დღით ადრე გაანაღდეს. ჯარგა მაჩიკანელები აქვთ ძიმითის, მთისპირის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებს.

ბარდავნის რაიონმა ფერმების დათვალიერების პირველი დღისათვის — 17 მარტისათვის სახელმწიფოს მიჰყიდა 12.964 ცენტნერი ხორცი ნაცვლად შარშან ამავე პერიოდში მიყიდული 10.167 ცენტნერისა. მიყიდულია 598 ცენტნერით მეტი რძე. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში წინ მიდიან ულიანოვკის, გამარჯვების, დიღმის საბჭოთა მეურნეობები.

ვანელმა მშრომელებმა ფერმების დათვალიერების პირველი დღისათვის მოწველეს 3.500 ცენტნერი რძე ნაცვლად შარშან ამავე პერიოდში მიღებული 3.000 ცენტნერისა. სახელმწიფოს მიიყიდა 3.440 ცენტნერი რძე. შარშან იყო 2.296 ცენტნერი, ხორცი — 1.415 ცენტნერი ნაცვლად 1.329 ცენტნერისა.

ხობის რაიონის პატარა ფოთის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში მოწინავეთა შორის არის კომკავშირელი გულნარა ბჟალავა. მასზე მოსავლელად მიმაგრებულია 200 სული ღორი. ახალგაზრდა მეღორე მათი ზეგეგმითი წონის ნამატს აღწევს: ღორები დღეღამეში გეგმით გათვალისწინებული 400 გრამის ნაცვლად 430 გრამს იმატებენ. აურაკოზს: გულნარა ბჟალავა.

ი. ნანიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გუშინ დაიწყო მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერება

საბჭოთა აჭარა 52 წლისაა

განახლებული აჭარის გაფაფხული

ა. თხილაიშვილი,
საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

□

საბჭოთა ხალხების ძურ ოჯახში სახელოვანი გზა განვლო სამეზის ორდენანსმა მზიურმა აჭარამ. რევოლუციამდე ღ ი აჭარა ბერარული, ჩამორჩენილი კუთხე იყო. მძიმე სოციალურ ჩაგვრასთან ერთად ჩვენს ხალხს სტანჯავდა აუტანელი სიღარიბე.

ლენინური თავისუფლების მზემ აჭარაში 1921 წლის 18 მარტს შემოანათა. იგი გზაფხულთან ერთად მოგვეგლინა და ბედნიერება დაამკვიდრა მშრომელთა ოჯახებში. ამ დღეს აჭარის მუშათა და გლეხთა რაზმებმა ბათუმში შემოსული ლეგენდარული წითელი არმიის ნაწილების დახმარებით საქართველოს მიწაყწლიდან განდევნეს ქართველი ხალხის მტრები — მენშევიკები, დაამხეს მათი ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დასაბამი მისცა დიდ სამეურნეო გარდაქმნებს, სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის შექმნისა და კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

საქართველოს მრეწველობის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აჭარას, სადაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამენდა მრავალი მსხვილი საწარმო, რომელთა რიცხვი ამჟამად 80-ზე მეტია, მათ შორის ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათმშენებლო, გემთსაშენი, ელექტროხელსაწყოს, ელექტრომექანიკური, ტყავის, ფეიქრეულის, ტუნგოს, ჩაისა და სხვა ფაბრიკები და ქარხნები. 1921 წლიდან დღემდე სამრეწველო საწარმოთა მოცულობა გაიზარდა 256-ჯერ და იგი აღემატება თანამედროვე ტექნიკით. აჭარის მრეწველობის პროდუქცია იგზავნება უცხოეთის ათეულობით ქვეყანაში, მათ შორის წყალქვეშაფრთიანი კატარღები, ელექტროკარები, ელექტროტექნიკური ნაკეთობანი, ნავთობპროდუქტები. ბათუმის მანქანათმშენებლო ქარხანა საბჭოთა კავშირში ერთადერთი საწარმოა, რომელიც უშვებს ჩაის ფაბრიკების სრულ აღჭურვილობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდია აჭარის სოფლის მშრომელთა წვლილი. რევოლუციამდელი წარეული, ერთპიროვნული მეურნეობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. რევოლუციამდე აჭარაში ჩაის 914 ჰექტარი ეკავა, სოლო ციტრუსებს 500 ჰექტარამდე. ამჟამად აჭარის სუბტროპიკულ ზონაში 7 ათას ჰექტარამდე ჩაი და 6 ათას ჰექტარამდე ციტრუსია გაშენებული. ჩაის კულტურა შეეფუა მთის ისეთ ჰავას, როგორიცაა ქედის რაიონი.

წლითიწლობით იზრდება სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული სიმძლავრე და მექანიზაციის დონე, თანამედროვე ტექნიკამ ტვირთი მნიშვნელოვნად შეუსუბუქა სოფლის მშრომელებს. პარტიისა და მთავრობის ზრუნვას აჭარის მხვნელ-მთესველები თავდადებული შრომით უპასუხებენ, მათ ტრადიციად დამკვიდრეს სახელმწიფო გეგმები ვადამდე დიდი გადაჭარბებით შესრულონ.

ყოველ წელიწადს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების თარიღის აღნიშვნა აჭარის მშრომელთა თავისებური ანგარიშია ჩვენი სამშობლოს წინაშე. შარშან აჭარის მეჩაიეებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს როგორც სახელმწიფო დავალება, ასევე ნაკიფი ვალდებულებები. მათ საშუალოდ ჰექტარზე მიიწიეს 5860 კილოგრამი, ეს სარეკორდო მოსავალია. 1971 წლის სუხანაში ზამთარმა მძიმედ დააზიანა ახალგაზრდა ციტრუსოვანთა ნარგავი. მიუხედავად ამისა აჭარის მეციტრუსეებს ძალღონე არ დაუშურებიათ მძიმე ზარალის ხელიკვდაციისა. და აი, თავდადებულ შრომას შედეგიც მოჰყვა, ციტრუსების დამზადების სახელმწიფო გეგმა ორმაგად იქნა შესრულებული. ასევე გადაჭარბებით შესრულდა თამბაქოს, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების შესყიდვის დავალებები.

წარმატებებია მოპოვებული მრეწველობის დარგში. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა 1972 წლის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შეასრულეს 101,2 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 4.463 ათასი მანეთის პროდუქცია. დაწინაურდნენ ნავთობგადასამუშავებელი, ელექტრომექანიკური, ტყავსამკერავი, ფეიქრეულ-ტანსაცმლის, ტუნგოს, ჩაისა და ფაბრიკების ფაბრიკა. 1972 წლიდან დღემდე სამრეწველო საწარმოთა მოცულობა გაიზარდა 256-ჯერ და იგი აღემატება თანამედროვე ტექნიკით. აჭარის მრეწველობის პროდუქცია იგზავნება უცხოეთის ქვეყნებში, მათ შორის წყალქვეშაფრთიანი კატარღები, ელექტროკარები, ელექტროტექნიკური ნაკეთობანი, ნავთობპროდუქტები. ბათუმის მანქანათმშენებლო ქარხანა საბჭოთა კავშირში ერთადერთი საწარმოა, რომელიც უშვებს ჩაის ფაბრიკების სრულ აღჭურვილობას.

ჩვენს წარმატებებს, სამწუხაროდ, ჩრდილოვანი მხარეებიც ახლავს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის თებერვლის პლენუმმა მკაცრად გააკრიტიკა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგებში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და ჩამორჩენა. ეს კრიტიკა მთლიანად შეეხება ჩვენს მუშაობასაც.

სუსტი მუშაობით, უპასუხისმგებლობით უნდა აიხსნას ის, რომ გასულ წელს 10 საწარმოს არ შეუსრულებია პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, ხოლო 17 საწარმოს—წარმოებისა, მათ შორისელებს დაგალეს 5 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმით წარმოების მოცულობა 1972 წელს 1971 წელთან შედარებით 8,3 პროცენტით უნდა გაზრდილიყო, ფაქტიურად კი მხოლოდ 6,5 პროცენტით გაიზარდა.

პარტიული, საბჭოთა და სამრეწველო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის მრეწველობის 1972 წლის თითქმის ყველა მაჩვენებელი საგეგმო დავალებაზე ნაკლები ან წინა წლისაზე უარესია. მაგალითად, თუ 1971 წელს რეალიზაციის გეგმის შესრულებას საკითხი გახდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი, საიდანაც აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა საგზირო დასკვნა გამოიტანეს და დასახეს კონკრეტული ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პარტიის XXIV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხუთწლიანი გეგმის შესრულება დამოკიდებულია თვითეული საბჭოთა ადამიანის შრომაზე, თვითეულის უნარზე, ორგანიზებულობასა და დისციპლინაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და თებერვლის პლენუმებმა, რომლებიც პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობდნენ, ამოცანად დაგვისახეს მიგიღწიოთ მთელი სამეურნეო მუშაობის სრულყოფას, სასალხო-სამეურნეო დაგეგმვის გაუმჯობესებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ამოცანები ნათელია, იგი პარტიამ დაგვისახა, ახლა ჩვენთვის მთავარია სიტყვას კონკრეტული საქმეებით ვუპასუხოთ.

გრანდიოზული ცვლილებები მოხდა მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში. წლითიწლობით ფართოვდება სკოლების, სასწავლებლების, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი. ახლა აჭარაში 448 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, რომელშიც 70 ათასამდე ბავშვი სწავლობს.

გარკვეული მიღწევებია მოპოვებული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. აჭარაში მომუშავე მწერლებმა შექმნეს მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, ისინი ასახავენ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან ძვრებს, იმ ცვლილებებს, რაც საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროში მოხდა. ნაყოფიერად მუშაობენ აჭარის მხატვრები, რომლებმაც სახვითი ხელოვნების მრავალი კარგი ნიმუში შექმნეს.

რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები დაფარულია სამედიცინო დაწესებულებათა ფართო ქსელით, ხოლო ზღვისპირეთში აგებულია შესანიშნავი სამკურნალო დაწესებულებები, სადაც ყოველწლიურად 150 ათასზე მეტი ორგანიზებული და არაორგანიზებული დამსვენებელი ჩამოდის.

განვლილ 52 წლის მანძილზე აჭარის ყველა კუთხემ და უბანმა იცვალა სახე. თანამედროვე მუშისა და კოლმეურნის ოჯახში დამკვიდრდა ტელევიზორი და გაზქურა, მაღალმთიანი რაიონების უშორეს სოფლებშიც ავიდა საავტომობილო გზა და უჩვენებენ კინოსურათებს. მკლავმოჯელელ შრომელთა უანგარო გარჯის შედეგად გარემომაც იცვალა სახე, მაგრამ მიღწეული ზღვარი როდი, სამშობლო ახალ შრომითს სასწაულებს ელოდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ, რომელმაც დაამტკიცეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1973 წლის გეგმა, ხუთწლიის მესამე წლის დავალებათა შესრულებისათვის მისწრაფებამ ახალ საფეხურზე აიყვანა აჭარის მშრომელთა ინიციატივა. ახლა ისინი ისწრაფვიან უკეთ გამოიყენონ არსებული რეზერვები, იბადება ახალი თაოსნობანი, იღებენ ახალ ვალდებულებებს. „ყოველი თვის გეგმა ვადამდე ერთი დღით ადრე!“, ასეთია მენავთობეთა ინიციატივა, რომელსაც ბრძანდ დაუჭირა ყველა საწარმომ, საამქრომ, უბანმა, იგი საერთო მოძრაობად გადაიქცა.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე შესასრულებლად, სოციალისტური შეჯიბრება გაშალა ყველა საწარმოსა, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას შორის, თვითეულ საამქროსა, უბანსა და ბრიგადას შორის, ხოლო შედეგების განზოგადება ხდება ყოველი თვის მეორე კვირაში. შეჯიბრებებს სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები, ისინი ავლენენ ახალ რეზერვებს, პროპაგანდას უწევენ ინიციატორთა თაოსნობას, კურსი ისევ აღებული, რომ მომდინარე წელს არ გვსაჯდეს არცერთი ჩამორჩენილი ხაწარმო ან მეურნეობა.

კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმული აჭარის მშრომელთა ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლეულის მესამე, გადამწყვეტი წლის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

ზრუნვა მუშათა ცვლისათვის

საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

□

16 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. აქ მოვიდნენ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სპეციალისტები და ვეტერანები, წარჩინებული წარმოების მუშაკები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები. მათ განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოსალმება თათბირის მონაწილეებისადმი.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. შევარდნაძემ. კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ალავიძე, თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ი. ქოიავა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. რთველიაშვილი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ხვედელიანი, თბილისის № 38 ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ვ. კუზმინი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გ. გაბელაია, ერუთავის № 3 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ვ. ცურკავა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ბუბულაშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ქ. ჭაჭაია, ხიდისთავის № 15 სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ვ. ქიტიაშვილი. საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ნ. გურგენიძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინერის მოადგილე, ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული ფ. წერეთელი.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა პროფესიულ-ტექნიკური სკოლის ისტორია განუყოფლად დაკავშირებულია მუშათა კლასის ბრძოლასთან ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

დღეს, როცა ტექნიკური პროგრესი იჭრება სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, იცვლება მუშის კვალიფიკაციის შინაარსიც. ხელის შრომის ჩაგვების, გაწაფულობის, ფიზიკური ძალის გამოყენების გარდა უთარველესი მნიშვნელობა ენიჭება დამოუკიდებლობასა და შეგნებულ მოქმედებას საწარმოო ოპერაციათა შესრულების დროს, ტექნიკურ და ზოგად ცოდნას, პასუხისმგებლობას.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, განათლება მუშის კვალიფიკაციის აუცილებელი უმნიშვნელოვანესი ელემენტი ხდება. ამასთან დაკავშირებით ახლა შეიქმნა ახალი ტიპის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, სადაც პროფესიასთან ერთად ახალგაზრდობა ეუფლება სრულ საშუალო განათლებას.

არსებობის 33 წლის მანძილზე რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებმა მოამზადეს 260 ათასზე მეტი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. მარტო ამ ბოლო 20 წელიწადში ამ სისტემის სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რიცხვი ერთიოთხად გაიზარდა. დღეს რესპუბლიკის 71 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში 33 ათასზე მეტი მოსწავლე ეუფლება 200 სხვადასხვა პროფესიას.

მეცხრე ხუთწლედის ერთ-ერთ ამოცანად კომუნისტურმა პარტიამ დასახა კვალიფიციური მუშების მომზადების გაუმჯობესება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, განსაკუთრებით სოფლად, რათა ახალგაზრდობა, როგორც წესი, სპეციალობას მუშაობის დაწყებამდე ეუფლებოდეს.

მაგრამ საკმარისი როდია სპეციალობის მხოლოდ მექანიკურად ათვისება. თანამედროვე წარმოების პირობებში მუშას უნდა ჰქონდეს საინჟინრო მომზადების ელემენტები, იგი საქმის ცოდნით უნდა იყენებდეს რთულ მანქანებსა და აპარეგატებს, ერკვეოდეს ნახაზებში, შეეძლოს მოწყობილობის გამართვა, ზუსტი ხელსაწყოების ხმარება, უზრუნველყოფდეს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ გადიდებასა და პროდუქციის მაღალ ხარისხს. ამასთან დაკავშირებით საწარმოო სწავლებასთან ერთად დადგმულია ახალ შვნელობა აქვს თეორიული სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, სწავლების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.

ამ დროს კი ზოგიერთ სასწავლო გეგმაში შეიმჩნევა საწარმოო და თეორიული სწავლების შეუსაბამობა, ტექნიკურ დისციპლინებში სხვადასხვა საგნის კავშირის დარღვევა. ამის შედეგად შრომითი ჩვევების ფორმირება თეორიის მოწყვეტით ხდება, ხოლო ცალკეული საგნების შესწავლა ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა უთუოდ შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა გადაჭრით ვამაღლებდეთ მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონეს, ყველგან ვნერგავდეთ პედაგოგიურ და ტექნიკურ მეცნიერებათა საფუძვლებს. ამ მიზნის მისაღწევად უფრო ფართოდ უნდა ვიყენებდეთ შეფი კოლექტივების — საქართველოს პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და სხვების დახმარებას, რომლებიც მზად არიან ხელი შეუწყონ მეცნიერულ-ტექნიკური აზრის მიღწევათა დანერგვას პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

ერთი ხუთეული, რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები მოვალენი არიან მოკლე ვადებში მიემზადონ მუშაობის ახალ პირობებზე ეადასასვლელად. მათ საქმიანობაში კი საკმაოდ დიდი ნაკლოვანებებია.

სამწუხაროდ, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების განვითარებაში და ახალგაზრდა მუშათა კადრების მოზამზადების ტემპით ჩამორჩენილია თანდათან ძლიერ ბრალ ბოთხოვნებს. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან ერთად, ფართოდ უნდა განვითარდეს ბრიგადული მიზეზენი. 1990 წელს საქართველოში იქნება 120 მარტო საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც ისწავლის 72 ათასი კაცი), მაგრამ ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სასწავლებლები განკუთვნილია ახალგაზრდობისათვის, რომ მათ უნდა ჰქონდეთ ყოველივე, რაც საჭიროა სრულფასოვანი სწავლისათვის, დასვენებისათვის, სპორტისათვის. თათბირზე აღინიშნა ქარელის რაიონის № 40 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მშენებლობის მაგალითი. ეს სასწავლებელი სულ ცოტა ხნის წინათ ამენდა, მაგრამ უკვე უკარგესი გახდა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. საიუშევმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ვ. სეხნიაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების მოადგილე ბ. ბარსუკოვი. (საქინფორმი).

ინტერვიუ **მთავროგის მოქმედების მხილება**

17 მარტი. (საკლესი). ურუგვაის მთავრობამ შარშან სახელმწიფო ოქროს მარაგის 20 პროცენტი გაყიდა. ეს განაცხადა ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა მოისეს კოენმა.

გამოვიდა რა 14 მარტს რადიოთი და ტელევიზიით, იგი ამ ღონისძიებას ამართლებდა ქვეყნის სწრაფად მზარდი საგარეო დავალიანების დაფარვის საჭიროებით.

ოქროს გაყიდვის ოპერაციას ფრიად საიდუმლოდ ინახავდნენ. მისი ამბავი გენერალური ასამბლეის (პარლამენტის) წევრებისთვისაც კი არ უცნობებიათ.

როგორც აქ მიაჩნიათ, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი იძულებული იყო ცნობა ამ გარიგების შესახებ გამოექვეყნებინა ერთი თვის წინათ შექმნილი ერთიანული უშიშროების საბჭოს მოთხოვნით, რომელშიც თვალსაჩინო როლს ასრულებენ ურუგვაის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელები.

ხ. ბორდაბერის მთავრობის მიერ ქვეყნის ოქროს მარაგის მეხუთედის გაყიდვას, მარაგისა, რომელსაც 68 მილიონ დოლარად აფასებენ, მკაცრად გმობენ ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში და საზოგადოებრიობაში.

განცხადებაში პრესისათვის ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა როდნი არისმენდიმ მთავრობის ოპერაციას უწოდა „სკანდალური“ და „ხალხის ზურგს უკან შესრულებული, რაც მოწმობს ეროვნული ეკონომიკის კატასტროფულ მდგომარეობას“.

ფართო ფრონტის აღმასკომის თავმჯდომარემ ლიბერ სეფანმ მოითხოვა აწლანდელი პრეზიდენტის გადაყოგომა.

ტოკიო **პერსპექტივაშია ბრძოლა ნავთოგისათვის**

16 მარტი. (საკლესი). იაპონია-ამერიკის ეკონომიკურ ურთიერთობაში წარმოიშვა წინააღმდეგობათა კიდევ ერთი ხფერო. საქმე ეხება ენერგეტიკულ რესურსებს, უწინარეს ყოვლისა ნავთობს.

როგორც ცნობილია, კაპიტალისტურ სამყაროში იაპონიას სამრეწველო წარმოების მოცულობით მეორე ადგილი უკავია ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ. ახლა იაპონია წელიწადში ხარჯავს 200 მილიონ ტონა ნავთობს. ეკონომისტთა წინასწარმეტყველებით, ხან წელიწადში ეს ციფრი 300 მილიონ ტონას მიაღწევს, ხოლო მომდინარე ათწლეულის დასასრულ — 600 მილიონ ტონას. იაპონიაში მიაჩნიათ, რომ ახლო მომავალში მსოფლიო ბაზარზე ნავთობის წყაროებისათვის ბრძოლაში იაპონიის ინტერესები გარდუვალად შეეჯახება შეერთებული შტატების ინტერესებს. „საფსებით შესაძლებელია, — შეშფოთებით წერდა გაზეთი „მეინიტი“, — რომ იაპონიას, რომელსაც მნიშვნელოვანი ეკონომიური ძლიერება აქვს, მაგრამ არ გააჩნია ნავთობის საკუთარი რესურსები, უახლოეს მომავალში ჩაითრევენ აშერიკის შეერთებულ შტატებთან „ნავთობის ომში“.

ამ შეშფოთებას ასახავს იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნოს დელეგაცია ენერგეტიკული რესურსების პრობლემების თაობაზე კონსულტაციების მოსაწყობად. აღიარებრივი პრესის ცნობებით, ეს ფაქტი, რომ ამ ბოლო დროს გახშირდა იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკება ენერგეტიკული რესურსების, უწინარეს ყოვლისა ნავთობის პრობლემებზე. ნავთის პრობლემა იყო იაპონია-ამერიკის ეკონომიური მოლაპარაკების დღის წესრიგში, რომელიც მიმდინარე წლის ივნვარში „გაიმართა ჰავაის კუნძულებზე. ამ საკითხს დიდი დრო დაუთმეს ადრეული ბუნდოვანი, რომ მოაწყონ ორი ქვეყნის მთავრობისა და სამრეწველო წრეების წარმომადგენელთა ორმხრივი კონფერენცია ენერგეტიკული რესურსების ნაკლებობის პრობლემათა განსახილველად.

საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

□

ბილი უმნიშვნელოვანესი ელემენტი ხდება. ამასთან დაკავშირებით ახლა შეიქმნა ახალი ტიპის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, სადაც პროფესიასთან ერთად ახალგაზრდობა ეუფლება სრულ საშუალო განათლებას.

არსებობის 33 წლის მანძილზე რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებმა მოამზადეს 260 ათასზე მეტი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. მარტო ამ ბოლო 20 წელიწადში ამ სისტემის სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რიცხვი ერთიოთხად გაიზარდა. დღეს რესპუბლიკის 71 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში 33 ათასზე მეტი მოსწავლე ეუფლება 200 სხვადასხვა პროფესიას.

მეცხრე ხუთწლედის ერთ-ერთ ამოცანად კომუნისტურმა პარტიამ დასახა კვალიფიციური მუშების მომზადების გაუმჯობესება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, განსაკუთრებით სოფლად, რათა ახალგაზრდობა, როგორც წესი, სპეციალობას მუშაობის დაწყებამდე ეუფლებოდეს.

მაგრამ საკმარისი როდია სპეციალობის მხოლოდ მექანიკურად ათვისება. თანამედროვე წარმოების პირობებში მუშას უნდა ჰქონდეს საინჟინრო მომზადების ელემენტები, იგი საქმის ცოდნით უნდა იყენებდეს რთულ მანქანებსა და აპარეგატებს, ერკვეოდეს ნახაზებში, შეეძლოს მოწყობილობის გამართვა, ზუსტი ხელსაწყოების ხმარება, უზრუნველყოფდეს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ გადიდებასა და პროდუქციის მაღალ ხარისხს. ამასთან დაკავშირებით საწარმოო სწავლებასთან ერთად დადგმულია ახალ შვნელობა აქვს თეორიული სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, სწავლების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.

ამ დროს კი ზოგიერთ სასწავლო გეგმაში შეიმჩნევა საწარმოო და თეორიული სწავლების შეუსაბამობა, ტექნიკურ დისციპლინებში სხვადასხვა საგნის კავშირის დარღვევა. ამის შედეგად შრომითი ჩვევების ფორმირება თეორიის მოწყვეტით ხდება, ხოლო ცალკეული საგნების შესწავლა ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა უთუოდ შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა გადაჭრით ვამაღლებდეთ მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონეს, ყველგან ვნერგავდეთ პედაგოგიურ და ტექნიკურ მეცნიერებათა საფუძვლებს. ამ მიზნის მისაღწევად უფრო ფართოდ უნდა ვიყენებდეთ შეფი კოლექტივების — საქართველოს პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და სხვების დახმარებას, რომლებიც მზად არიან ხელი შეუწყონ მეცნიერულ-ტექნიკური აზრის მიღწევათა დანერგვას პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

ერთი ხუთეული, რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები მოვალენი არიან მოკლე ვადებში მიემზადონ მუშაობის ახალ პირობებზე ეადასასვლელად. მათ საქმიანობაში კი საკმაოდ დიდი ნაკლოვანებებია.

სამწუხაროდ, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების განვითარებაში ამ ამოცანის შესრულებაში ჩამორჩენილია თანდათან ძლიერ ბრალ ბოთხოვნებს. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან ერთად, ფართოდ უნდა განვითარდეს ბრიგადული მიზეზენი. 1990 წელს საქართველოში იქნება 120 მარტო საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც ისწავლის 72 ათასი კაცი), მაგრამ ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სასწავლებლები განკუთვნილია ახალგაზრდობისათვის, რომ მათ უნდა ჰქონდეთ ყოველივე, რაც საჭიროა სრულფასოვანი სწავლისათვის, დასვენებისათვის, სპორტისათვის. თათბირზე აღინიშნა ქარელის რაიონის № 40 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მშენებლობის მაგალითი. ეს სასწავლებელი სულ ცოტა ხნის წინათ ამენდა, მაგრამ უკვე უკარგესი გახდა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. საიუშევმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ვ. სეხნიაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების მოადგილე ბ. ბარსუკოვი. (საქინფორმი).

ბანგკოკი

„შავგნელი მომავალი“

**17 მარტი. (საკლესი). ზაირის საზოგადოებრიობა შეშფოთებულია ქვეყანაში ნარკოტიკების ხმარების ზრდის კატასტროფული ტემპით. ნარკომანია გავრცელებულია უმთავრესად ხალხის ფენებში, ბანაკებიდან, ციხეებიდან, ბანაკებიდან, ციხეებიდან, ბანაკებიდან, ციხეებიდან

ბლუმინგი და ბოსჯანი

• გიორგი ნატროშვილი •

ეროტალურგიული ქარხნის ეზო-მიდამოს ოდითგან მარტო მისთვის დამახასიათებელი შესახედაობა ჰქონდა; ეს იყო თავისებური, მუქი და ჩაშავებული პეიზაჟი, რომელიც მხატვრულ ლიტერატურაში არაერთხელ აუწერიათ. აქ შეიძლება გავიხსენოთ ფრიად კოლორიტული სურათები გორკისა („არტამონოვების საქმე"), თუ კუპრინის („მოლოქი") ნაწარმოებებიდან, სადაც რკინა და კვამლი ჰკლავდნენ და ახმობდნენ ყველაფერს, რაც ცოცხალია და მწვანე. მკაფიოდ გამოხატა ეს მძიმე სურათი შესანიშნავმა პოეტმა ემილ ვერჰარნმა (მომყავს მისი ლექსის „მინდვრის" ცალკე ადგილების სიტყვა-სიტყვითი თარგმანი):

„მთელი მინდორი წყვდიადს მოუცავს... დიდი ხანია გაპოლეთია ძალ-ღონე მიწაი, მომკვდარა და მას, მძორად ქცეულს, მაინც სჭამს ქალაქი, ნთქავს ჩუმად და ნაბიჯ-ნაბიჯ... მანქანას თავისი უზარმაზარი ხელი გამოუწვდია და რკინის თითებით მიუსრესმოუსრესია ჯეჯილი, ხამოხეს რომ ამსგავსებდა აკაურობას. ჩაჩუმებული გუთნისდედაც, ციური სიმშვიდე რომ შემოჰქონდა ამ მიდამოში... ნიავისათვისაც გზა გადაუღობავს და გაუბინძურებია კვამლსა და ქვარტლის ნაფლეთებს... იქ, სადაც წინათ დაიხის ოქროსფერი შუქი ეფინა ბაღებსა და ნათელ სახლებს, ახლა შავი ქარხნები გადაჰმოფლან ყველა მხარეს — ჩრდილოეთითაც, სამხრეთითაც. ქარხანაში კი ბორგავს და ვრგვინავს რაღაც უზარმაზარი ურჩხული, გუგუნებს ქვის კედლებს შიგნით... მურალ არხებს მდინარისაკენ მიაქვთ საწამლავი... გაძარცვილი ხეები, მომაკვდავებივით უმწეოდ ასავსავებენ დამტვრეულ ტოტებს, როგორც ხელებს. გარეთ ეზოში ქინქარიცა და ჭიაფიც კი ქვიშაშია ჩასრესილი და ზედ აყრია დაუანგული რკინა... ძმაზე სახურავს ქვეშ ლანდებივით დაძარწიან ადამიანები, გაყრუებულნი, გაოგნებულნი... ხად�aა ყანების წინანდელი ჩუმი შრიალი, ხეთა ჩრდილები, დასასვენებლად რომ გეძახდნენ; ხადაა ჩიტები, იხე მაღლა რომ შეფრინდებოდნენ ხოლმე ლურჯ ლაჟვარდში, რომ მათი ხმა ოდნავ, ოდნავღა ისმოდა. შორეული ფუსფუსისათვის... გათავებულა ყველაფერი და აქ სიცოცხლე აღარ დაბრუნდება... ირგვლივ თხრილებია და ყველა მათგანი ცარიელ საფლავსა ჰგავს... აბ, ყველაფერი გათავებულია... მინდორი მკვდარია".

ასე დახატა ვერჰარნმა ქარხნის ეზო-მიდამო, მარტო ქარხანა კი არა, ქალაქი — მტაცებელი, ქალაქი — მკვლელი ბუნებისა, ის ქალაქი და ქარხანა, რომელიც დაფუძნა და მოაწყო ბურჟუაზიულმა ცივილიზაციამ.

ვერჰარნი 1916 წელს გარდაიცვალა. მაშასადამე, მას მარტო ოცნებით თუ შეეძლო წარმოედგინა მეტალურგიული ქარხანა, რომლის ეზოში ლაღად ეშრიალებდა 400.000-ზე მეტი ხე და ბუჩქი — ჭაღარი თუ კედარი, ელდრის ფიჭვი თუ ტუია, სოფორა თუ ვერხვი, იაპონური კომში თუ ჩვეულებრივი კვიდო, ზოგ ადგილას კუნერას რომ ეძახიან. აქედან 11.000 ძირი მარტო ხეხილია — ყოველ გაზაფხულზე ალისფრად ყვავიან ატმები, თეთრად — ვაშლები, მსხლები, ალუბლები, ტყემლები, წითლად ლუის ბროწეული... აღარც ლელვი აკლია აქაურობას, არც გარგარი... ვინა თქვა მინდორი მკვდარიაო. ტყუილია. ხიკვდილს იქ ვინ შეუშვებს, ხადაც ტყემლები ჰყვავიან, ხადაც 400.000 მწვანე ჭარიაკაცი დგას და ხიცოცხლესავით შრიალებს.

ჩვენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიაზე ვართ.

დიდად სახიხარულოა, რომ რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ უკვე კარგი და გამართული ნაბიჯი აიღო — იანვრისა და თებერვლის გეგმა შეასრულა. მაგრამ ხიძნელეები ჯერ კიდევ ბევრია. ამაზე ლაპარაკობს ქარხნის დირექტორი ოთარ სულაძე.. ბევრი რამ არის გადასაპრელი იმ პრობლემებიდან, რასაც ყენებს მოთხოვნილება იმ მოწყობილობისა, მეტალურგიის დღევანდელი დღე რომ საჭიროებს, ნედლეულისა — დღევანდელ დონეზე, მუშა-ხელისა, ამავე დღევანდელ დღეს რომ შეჰფერის.

ხაუბრის ბოლოს სულაძემ რაღაც ახალი ხაამჭრო ახსენა, სტუმრები ბლუმინგის მერე იქ წაიყვანეთო, არ დაახასელა კი რა ხაამჭრო იყო...

დირექტორის კაბინეტიდან ბლუმინგის ხაამჭროში მივდივართ. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შუა რგოლია ფოლადის დნობასა და ხაგლინავ ხაამჭროს შორის, რომელიც უკვე მზა პროდუქციას უშვებს. ბლუმინგის კოშკიდან გამოცდილი ოპერატორები ნოდარ გამრეკლიძე და ხერგო ბაბულეიშვილი გავარვარებული ლითონის ვეება ზოდებს საჭირო კონფიგურაციას აძლევენ. ცეცხლში დაბადებული, მაგრამ ჯერ უფორმო ზოდი ახეე ცეცხლმა უნდა მონათლოს. ოპერატორები სხეიდან ხავარძლებში და განაგებენ ნათლობის ამ ურთულეს ცერემონიალს, როცა ბლუმი — ეს უფორმო ზოდი ხწორედ იღება ხახეაც და ხახელსაც. გეგონება რაღაც უხილავი ძალა ათამაშებსო ამ გავარვარებულ ბლუმსებს — გაისვრის წინ, უკან დაიბრუნებს და ხელახლა მოაქცევს მარწუხებში. ოპერატორები წუთით ვერ მოაშორებენ თვალს ფოლადის ამ გაადფორებულ ბრძოლას ფოლადთან.

შევაქერი მათ და მაგონდება — ასე ამდენნდნენ ფრონგზე საარტელერიო ცეცხლის კორექტირებას. სხვა ვერაფრისთვის შემდარებია ეს უზუსტესი ანგარიში და ჩაყრუებული გუგუნი, ეს განუწყვეტელი ჭახა-ჭეხი და ზუზუნი უზარმაზარი ხაამჭროსი. დიდხანს ვდგავართ და ვუცქერით ოპერატორის ხელებს; არ ისვენებენ ეს ხელები არცერთ წუთს, არ შეიძლება ამ ხელებმა დაახვენონ, ვიღრე ცალი არ გათავდება — ისინი ფოლადის ფუძეს უდგამენ კომფენიზმის შენობას.

ბლუმინგიდან რომ გამოხვალ, ქარხნის ეზოში, ასე ბუთასი მეტრის დაშორებით, ის ახალი ხაამჭროა, წუშუას ხან ძეობა აქვს, ხან ქორწილი. დავუმშვენოთ სუფრა, ეგეც არ იყოს, ახალი კოტრი და ნეწმატი არც ყოველდღიურ სუფრაზე აწყენს კაცს. მუშათა ხახადილოშიც აიწევს ულუფის ხარახხი; ისიც ხათქმელია, ჭვირი არ დაგიჯდება დიდი ხათბურის მოწყობა — მალერი უნდა, ორთქლი, დენი... ჩვენ კი აი რამდენი ნარჩენები გვაქვს, რაც განსაკუთრებულ ფახეულობას არ წარმოადგენს...

ამ ხაუბრის მერე დასხდნენ ეკონომისტები და ანგარიშეს. გამოირკვა, რომ ხათბური წელიწადში მოიტანს 100-150 ათასი მანეთის შემოსავალს, მოელ დანახარჯებს კი პირველ ხამ წელიწადში ანაზღაურებს. ხოლო პირველსავე წელს იმდენ ხიკეთეს მოიტანს, მას უკვე ფულითა და პროცენტებით ვერ გამოხატავ. 400.000 ხე და ბუჩქი, რუსთავის ქარხნის ტერიტორიაზე რომ აზრდება, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, იძლევა ერთ იშვიათ პროდუქციას სულიერ ლირებულებათა სფეროში, რომელსაც განწყობილება ეწოდება. ხაბჭოთა სოციოლოგებმა და ფსიქოლოგებმა, რომელთაც გულდასმით შეისწავლეს შრომითი კოლექტივების ცხოვრება, ზუსტად დაადგინეს, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა და საერთოდ ხაწარმოო მაჩვენებლები უშუალოდ დამოკიდებულია ადამიანის სულიერ განწყობილებაზე. ეს არის პრობლემა იმ ფსიქოლოგიური მიკროკლიმატისა, რომელიც არსებობს ყოველ ქარხანაში, ფაბრიკაში, კოლმეურნეობაში, ხამეცნიერო დაწესებულებაში; როგორიც არის მორალური და ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი, ისეთივეა ხაწარმოო მაჩვენებლებიც. ახლა ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ და ვწერთ ხაწარმოო ეხეთიკაზე და ცუდი როდი იქნება ამ ხაქმეში დავემოწაფენეთ წინაპრებს — ჩვენს პაპებსა და ბებიებს. იმათ ეხეთიკაზე დაწერილი ტრაქტატები წაკითხული არა ჰქონდათ, მაგრამ მეგონი ჩვენზე, იმ ტრაქტატების დამწერებსა და წამკითხველებზე უკეთ იცოდნენ რას ნიშნავს მშვენიერება ბუნებაში.

ქართველი გლეხკაცი ბოხტანს თავისი ხახლის ახლოს, ეზოში მარტო იმიტომ კი არ აშენებდა, რომ ტარხუნისა და წიწმატისათვის შორს წასვლა არ დახჭირებოდა, არა. მარტო ეს არ იყო. ის ბოხტანი ხანახობაც იყო, თვალისა და ხულის გამხარებელი მწვანე ხანახობა და გარდა ამისა, იქიდან იფრქვეოდა დამბნედელი ხურნელი, ხიცოცხლეს რომ მოანატრებდა კაცს. ამიტომ იცავდა და უფრთხილდებოდა გლეხმეტი მშვენიერება. მათს გულსიხდვენებს და ბეჯითობას აღანთებს არა მარტო ხიამოვნების გრძნობა, არამედ ურთიერთ შეჯიბრებაც, თუ რომელი ქუჩა უფრო უკეთ მოუვლის თავის ბაღს და ან არის ადგილი მთელ ქალაქში, ოპერეტ მეტალურგიულზე უფრო ხახარგებლო და ... ხახამოვნო, ... — ... არ არის არცერთი ხახლი, რომელსაც ორი კარგ არა ჰქონდეს — წინადან, ... — ... რომ გადიან... ... ხალა ... ... ლად, მსუბუქი შენებით იღება და თავისთავად ინურება და ყველა ხახლის კარი მუდამ ღია ხტუმრობათვის"...

თომა მორუხი ეეშმარიტად ეკვიანი მეოცნებე იყო. დღეევანდელი თაობა კი არ ოცნებობს, თავისი ხელით აშენებს იმ მომავალს, რაზედაც ხაუკუნეები ოცნებობდნენ, აშენებს უმტკიცეს მეცნიერულ ხაფუძვლებზე. და ამ შენებაში, ამ ყოველდღიურ ხაქმიანობაში ჩვენი იდეალი ის კი არ არის, რომ ხამყარო ვაქციოთ ქარხნად და ხაამჭროდ, არამედ ის, რომ ქარხანა და ხაამჭრო დავამსგავსოთ ბაღსა და წალკოტს, ზურმუხტის ტყეების და ბალების ხარტყელით შევმოსოთ. რუსთავში ყოფნისას განსაკუთრებით მძაფრად გრძნობ, რომ ეს ასეა ხაჭირო, რომ ეს აუცილებელია.

ამიტომ უნდა შეგხვდეს შემხვედროდეს კაცი აქ ყოველ ნერგსა და მწვანე ფოთოლს.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს ბოხტანს. პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა რომ შეადგინეს, უმალ შეუდგნენ მწვანე ხაამჭროს მშენებლობას. დიდი ამაგი დასდო ამ ხაქმეს ქარხნის მთავარმა მექანიკოსმა გეორგი ქობალავამ, ხალისით ჩაჰკიდეს ხელი ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმას მექანიკოსმა და ლითონკონსტრუქციების ხაამქროებმა. არცერთი მიღებული სტანდარტი არ აურჩევიათ, ტიპი კი ჰოლანდიური აიღეს, მაგრამ პროფილების მიხედვით ლითონის შერჩევა მოხდა იმ ნარჩენების შესაბამისად, რაც ქარხანას გააჩნდა.

და აი, ბოხტანი უკვე ბიბინებს. ნორმაში რომ ჩადგება, წელიწადში ორ მოსავალს მიიღებენ. აპრილის პირველ რიცხვებში კიტრი და ბამიდორი უკვე სუფრაზე იქნება, მერე, სექტემბრის ბოლოს დაიწყება ჩითილების ხელახლა გადარგვა იმ ვარაუდით, რომ ერთი ძველი ქართული ანდაზისა არ იყოს, ბებერმა ივნვარში კიტრი არა მარტო მოინატროს, არამედ თავის სუფრაზედაც დაინახოს.

ხულ მალე ამ ხათბურს კიდევ ერთი ჰექტარი ფართობი მიემატება — დრენაჟი უკვე გაკეთებულია, ფუნდამენტი — ნახეკარზე მეტი ჩაყრილია, ლითონკონსტრუქციები-და აკლია და ეს კი რუსთაველ მეტალურგებს არ გაუგირდებათ.

რა შეიძლება ვუწოდოთ ყოველივე ამას?

ეს არის ზრუნვა ადამიანზე, იმ კაცზე, ცეცხლს რომ ებრძვის ყოველდღე; ეს არის კიდევ ერთი ბერკეტი სხვა მრავალთა შორის, რომელმაც წინ უნდა წახწიოს ქართული ფოლადის ხაქმე; ეს არის კარგი და მოსაწონი თაახნობა. პროპაგანდას მარტო კლუბი და ბიბლიოთეკა, მარტო გაზეთი და ლექსი როდი ეწევიან. კარგი და ჭკვიანური პროპაგანდაა ეს მწვანე ბოხტანიც, მოულოდნელი, როგორც მოჩვენება ამ ფოლადის ხამყაროში, ცეცხლით მჭაბიანი მარტენის ღუმელების გვერდით.

ეუდეიკი ზრუნვა ადამიანზე ჩვენი ცხოვრების კანონია

ჰროგლეეზი, ჩიმლეეზიც გვალელვეზენ

უკუვაგდოთ ყველა ეაენე ტრადიცია და ზნე-ჩვეულება

ციურმის მეგობარი თავის ახლობელ ქალს ითხოვებდა და ოჯახითურთ ქორწილში დამპატიჟა. სასიძო ქალის წასაყვანად დაღამების ჟამს უნდა მოსულიყო, მაგრამ ჩვენ, როგორც პატარძლის მხარე, თბილისიდან ადრიანად გავიკრიფეთ. იმ დღეს პირველი თოვლი მოვიდა. გზაში ყველას დიდი სიფრთხილე მართებდა, რათა მანქანები არ მოგვეცურებოდა და საამისო თადარიგიც წინასწარ დავიჭირეთ — ჯაჭვებით მოვმარაგდით.

კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალაში, რომლის შუაგულშიც ქართული საკულტიკო ხუროთმოძღვრების საქვეყნოდ განთქმული ძეგლი — სამთავისის ტაძარი აღმართული და მიდამოს ასაფრენად შემართული ფრინველივით გაპყრეს, მახპინძლის ჭერქვამ, საგანგებო მზარეულები მოეწვიათ და ქორწილის ფიცხელი სამზადისი გაეჩაღებინათ.

მახპინძელი — ჩემი მეგობრის ახლო ნათესავი — შეძლებული, ავკარგიანი და სტუმართმოყვარე კაცი გახლდათ და ამ ბედნიერი დღისათვის არაფერი დაეშურებინა. ეზოს ღობეზე რამდენიმე ცხერისა და ღეკვეულის გასისხლიანებული ტყავი გამოეკიდათ. ვეება სპილენძის ქვაბებში ხორცი იხარშებოდა. ქათმისა და ინდაურისა, რაც იმ დღეს დაკვლათ, ანგარიშიც კი დაჰკარგვოდათ. ღერეფანში ორი უზარმაზარი კასრი იდგა, წითელი და თეთრი ღვინით პირამდე სავსე. ღვინოს კიდევ ეღოდნენ მახლობელი ქარხნიდან და მახპინძელი ეკლებზე იჯდა, ვაითუ ბიჭებმა რაიმე მოიწიეს, ამდენ ხანს რათ უნდა დაჰგვიანებოდათო.

საერთო ფუსფუსში ადრე მოსული სტუმრებიც გავერიეთ. ყველა ვცდილობდით, ჩვენც რაიმე გაგვეკეთებინა და ოჯახის ამ დიდ ბედნიერებაში მცირე რამ წვლილი მაინც დაგვედო.

ისე ჩამოღამდა, ვერც კი შევნიშნეთ, გარეთ ისევ თოვდა და ყველას ახალი საჯავრელი გაგვიჩნდა: რათ იგვიანებენ ნეფე და მაყრიონი ამდენ ხანს?

ჭიშკართან ვიღაცამ დაიძახა — მოდიანო! დიდი და პატარა კარ-ფანჯრებსა და აივანს მივაწყდით. ეს ღვინის მოსატანად ქარხანაში წასული ყმაწვილი კაცები აღმოჩნდნენ. მანქანა უკანსკნელად შემოვიდა ეზოში, დერეფანს მოადგა და მაღე რამდენიმე მარჯვე ბიჭმა ძარიდან კიდევ ორი ვეებერთელა კასრი ჩამოგორა.

„ვინ უნდა დალიოს ამდენი ღვინო? — უნებლიეთ გაგიელვებდა კაცს, მაგრამ უმალვე თავს დაიმშვიდებდი ძველებური ანდაზით: „თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვა!".

მაღალ ვახშობისას კიდევ ატყდა დადარაჯებული გოგო-ბიჭების ყვირილი და ღრიანცელი — არიქა, ახლა კი ნამდვილად მოდიანო.

ოჯახის გაშინაურებული სტუმრები ამ დროს ერთ განაპირა ოთახში ვისხედით და, როგორც წესია, ნარდის თამაშით დროს კკლავდით. ატალასებული ეზო მანქანების შუქით გაკაშკაშდა. მანქანებმა ჭიშკარს მოაყვირეს და შიგნით შემოვიდნენ. ქვემით ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობდა, ის იყო, ჩვენც გარეთ გამოსვლა დაგაპირეთ თვალის სეირის მოყვარულ ხალხში ჯასარეკად, რომ ეზა უცვე ვიღაც ხანშიშესულმა დედაკაცმა და სამმა თუ ოთხმა გოგომ გადაეგვიღობა და უსიტყვოდ გვანიშნა, ემანდ ისხედით, ახლა სეირნობისა და აქეთ-იქით ყიალის დრო სადღა არისო.

მაღე დაგვწმუნდი, რომ ისინი მართალს ბრძანებდნენ. უცნაურად შეშფოთებულმა და აწრიალებულმა ქალებმა ჩვენს პატარა ოთახში თითქმის ძალით შემოაგდეს მთლად თეთრებში გამოწყობილი ნორჩი ქალიშვილი — დედოფალი — და კარიგ მაშინვე ჩაკეტეს შიგნიდან.

— იწყება! — აღფრთოვანებული მოუთმენლობით მიჩურჩულა ჩემმა მეგობარმა, რომელსაც წუთის წინ ნარდს ვეთამაშებოდი. მოუთმენლობისა და ცნობისმოყვარეობისაგან თვალები ანთებოდა და გულაჩუყებული ხან გაფაციცებულ ქალებს უყურებდა და ხანაც დაბნეულ, სატირლად მოშზადებულ დედოფალს.

აღარც გამოკითვის დრო იყო. ლენინი და გაუგებელიც კი მიხვდებოდა, რომ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი, ტრადიციად დამკვიდრებული დრამატული ამბის მოწმე და მონაწილე ვხდებოდით.

ამ ტრადიციის თანახმად, სასიმამროს სახლში ქალის წასაყვანად მობრძანებული ნეფე-ბატონი მეჯვარეების პირით ითხოვს გამოიყვანონ და გვერდში ამოუყენონ საბედო, რომელიც ამიერიდან მისი უღლის მოზიარე უნდა გახდეს. იმართება მხიარული სპექტაკლი. სპექტაკლის მონაწილეთაგან ცოტამ თუ ვინმემ იცის, სად იმყოფება ამ დროს დედოფალი. დედოფალი კი „ავ სულებს" ჰაყავთ დატყვევებული და სანამ განსაზღვრულ გამოსასყიდს არ მიიღებენ, არც აპირებენ მის ხელიდან გაშვებას. იწყება ძებნა. ბოლოს, რაღა თქმა უნდა, ციხე შიგნიდან გატყდება და ნეფესა და მეჯვარეებს დედოფლის ადგილსამყოფელს მიასწავლიან.

იმ დღესაც სწორედ ასე მოხდა. „ბომხვდურთ" ჩვენს ოთახზე მოაწვალეს და საქორწინო სპექტაკლის მონაწილეებიცა და მაყურებლებიც მხიარული ხორხოცითა და ყიჟინით კიბეს მოაწყდნენ. მალე კარზე დაგვიკაკუნეს, ყასიდად იკითხეს, მართლა აქ იყო თუ არა დედოფალი და როგორც კი დანამდვილებით შეიტყვეს, მართლაც აქ ყოფილაო, „ავ სულებს" გამოსასყიდი თანხის დასახელება სთხოვეს.

— სამასი! — გაისმა ქალების გადაჭრილი პასუხი.

ამის გამგონეებმა, იცოცხლე, ბევრი ვიცინეთ, რადგან ეს ყოველივე უწყინარი ხუმრობა გვეგონა, ის ხომ მართლაც ქართველი კაცის ბუნებრივ არტისტიზმსა და ძალსა და რბილში გამჯდარ იუმორის გრძნობაზე მეტყველებდა.

გარეთ ჩოჩქოლი ატყდა. ბევრიაო. არც აქედან დაავოვნეს პასუხი, რომ ფასი უკანასკნელია და მას კაპიკიც აღარ დაკლდება.

— ორმოცდაათი მანეთი! — გაუბედავად დაიყვირა მეჯვარემ აივანზე. ამ ყვირილს ხმამაღალი სიცილ-ხარხარი მოჰყვა. მეჯვარე, ეტყობა, ერთობ შორიდან იწყებდა. კარგა ხანს არაფრის გაგონება აღარ შეიძლებოდა.

— ხამასი, ვთქვით და ზაგაბოავეთ, — მიუგეს ქალებმა შიგნიდან, როცა აივანი ცოტათი მიწყნარდა. — გინდათ, დადეთ, არ გინდათ, მოხოვნელი სხვაც ბევრია!

გაჩაღდა ვაჭრობა, რომელიც თანდათან მწვავდებოდა და სერიოზულ სახეს იღებდა. მართალია, ფასს ერთიორად დაუწიეს, მაგრამ ქალები ფეხს მაინც არ იცვლიდნენ და ნეფის მეჯვარეებისაგან, რომელთაც ტრადიციისამებრ ქალი უნდა გამოესყიდათ, კვლავ დიდ თანხას მოითხოვდნენ. ჯანჯლობა და მიწევ-მოწევა, ეწყინარ ხუმრობასა და თამაშს სავსებით რომ აღარ ჰგავდა, ნახევარ საათს მაინც გაგრძელდა. ბოლოს კარი გაიღო. ოთახში ერთ-ერთი მეჯვარე, უბრალოდ ჩაცმული ვამხდარი ბიჭი შემოუშვეს. შან „ავ სულებს" გამოსასყიდი თანხა გადასცა და გაუთავალისწინებელი სარჯით წელმოწყვეტილმა არანაკლებ შეწუხებულმა და ამ გაწამაწიით შეურაცხყოფილმა დედოფალი წაიყვანა.

განცვიფრებულმა მეგობარს შევხედე. ის ცოტა დარცხვენილი იყო და თვალს მარიდებდა. დედაკაცი და გოგოები — „ავი სულები" ამ დროს კუთხეში მიკუნტულიყვნენ და კრიჭანგის ბაფაციცითა და სიხარბით წაღმა-უკუღმა დაწყობილ ქაღალდის ფულს ითვლიდნენ.

— ეს ხომ მართლაც გონივრული ტრადიციაა. იცი ჩვენ ყოველთვის გეკონდა და ისევე, როგორც ყველა სხვა კულტურულ ხალხს, მომავალშიც ალბათ გეკონება. მაგრამ ხომ აუკარაა, რომ მას უსათუოდ უნდა ჩაბოსიელდეს ყოველივე ზედმეტი, რომელიც ძველ კეთილ ტრადიციას ჩვენმა თაობამ გუშინ და გუშინწინ შესძინა და იგი სიმახინჯემდე მიიყვანა.

უკანასკნელ ათწლეულებში ბევრმა ჩვენგანმა მოიარა უცხოთის ქვეყნები, ბევრი ხალხის ზნე-ჩვეულებებს და ცხოვრების წესს გაეცნო. უცხო სტუმრის მიღება-გასტუმრების ხაკითხში ხალხები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მიზეზის ძიება ძალზე შორს წაგიყვანდა, აქ კი მხოლოდ ის შეიძლება დავსძინო, რომ მიუხედავად მკვეთრი განსხვავებისა, არსებობს, ასე ვთქვათ, რაღაც საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც საფუძვლად უდგას ყველა ამ თავისებურ მიღება-გასტუმრების წესს.

დაე ნურავინ მიწყენს, თუ პირუთვნელად ვიტყვი, რომ დღევანდელი ქართველი კაცის მიერ სტუმრის მიღება-გასტუმრება შორს სცილდებაა ყოველ საერთაშორისო ნორმას, რომელიც მსოფლიოს კულტურულ ხალხებს ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე დაუდგენიათ. პატივსაცემი სტუმრის ოჯახში მიღება მთლიანად არღვევს ქართველი კაცის ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს. სტუმარი მეტი-ორივით იჭრება მის ცხოვრებაში. სუფრა ხანდახან რამდენიმე დღეს გადაბმულად გრძელდება, რამდენიმე საათს მაინც და შეუბრალებლად ნთქავს აურაცხელ დროს, ადამიანების მოთმინებას, სულიერ და ფიზიკურ ენერგიას, სახსრებს...

ვინ გვიანდერძა და როდის აქეთ დავიმკვიდრეთ ეს მავნე ტრადიცია, რომელსაც, თამამად შეიძლება ითქვას, ყველა კისაც ცხვირი თავდაღმა გვაქვს, ერთნაირი მორჩილებით ეემონებით? როდის იყო, მართლაც სტუმართმოყვარე და ბუნებით ბულუსვ ქართველ ელვსეანეს, ცალ ხელში რომ კავი ეჭირა, მეორეში კი სატევარი, გადაბმულ ლხინში ღრეობის, ლოთობისა და აყალ-მაყალის დრო და სურვილი ჰქონოდა! ან დღეს, უდიდესი მეცნიერული აღმოჩენებისა და სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის ეპოქაში, როგორ და რანაირად გაგვიჩნდა ამის დრო და მოთხოვნილება?

უმსგავსმა ტრადიციამ ფეხი უთუოდ მაშინ მოიკიდა, როცა თავი სამშვიდობოს ვიგრძენით და ლუკმა პურიც შედარებით ადვილი ხაშოვნელი გახდა. მაშვრალ წინაპრებს, ვის ფესვზედაც ამოვსულვართ მათი კეთილშობილი სისხლით გაპოხიერებულ ნიადაგში, ალბათ, შეხზარავდა, სეფაში გაშლილი ჩვენი გრძელი ხუფრები, ერთად შეყრილი შინაურგარეული, ორლეტრიანი ყანწებით დვინის ხვრეპა რომ ენახა და გაუთავებელი მრავალსიტყვაობა მოესმინა.

ვისაც გონება გვიჭრის და სიფხიზლე ჯერ მთლად არ მოგვდუნებია, ამას ველარ მოვითმენთ. ყველაფერს, მათ შორის პატივმოყვარეობის შეუწყდველ პარპაშსაც, ხომ თავისი ხაზღვარი აქვს. დიახ, ხაზღვარი აქვს და მას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს!

ყველა ამ ბომპეზურ სუფრას, გაუთავებელ ღრეობას, რომელშიც აღვ თუ ისე იშვიათად უცხო ტომის სტუმრებსაც ჩაერევთ ხოლმე, რაღაც პირველყოფილი, ბარბაროსული ელფერი ახლია. ვის არ გვინახავს ჩვენთან ღრეობით დიდად შეწუხებული და განცვიფრებული უცხო ტომის შვილნი. მათ უმეტესობას ვერც კი გაუგია, რა ხდება. ისინი დამფრთხალნი და თავზარდაცემულნი არიან. ეროს სერიოზულად მიაჩნიათ, რომ ქართველობამ, განურჩევლად ყველა ქართველისა, იმოდენა ქონება დაეაროვა, რომ აღარ იცის, სად და როდის გაფლანგოს იგი. ამგვარ გზადაბნეულთ ძნელია შეაგნებანო, რომ მდიდრული სუფრა სულაც არ არის მახპინძლის სიმდიდრის მაჩვენებელი. ის, მახპინძელი, სხვათა წაბმედურობით, უკუღმართად დამკვიდრებული ტრადიციის კარნახით შერეკა ამას, ტყავში ძვრება, უკანასკნელ დანაზოგს იმეტებს ან ყელამდე ვალებში ვარდება, ოღონდ სტუმარს თავი მოაწონოს, მერე კი, ვინ იცის, შესაძლოა, მთელ წელიწადს კბილით გახაკვნეტიც აღარაფერი ექნეს ოჯახში.

ვთქვათ, აკუხსენით, გავაგებინეთ ეს გაოგნებულ სტუმარს, ვითომ ანით რას დავამტკიცებთ? ვითომ აქედან ის გამოა, რომ ჩვენ, ქართველები, ყველაზე უფრო კაცთმოყვარე და მოყვასისათვის თავდადებული ადამიანები ვართ დედამიწის ზურგზე?

ამგვარი უკაცრავად პასუხია ჰუმანიზმი და მოყვასისათვის თავის დაღება არავის ხეპრდება — არც სტუმარს და არც მით უმეტეს თვით მახპინძელს. ვინ რა ჭამა, ვინ რა დალია, ყველაფერი ეს, სუფრაზე რომ მოვიტანეთ და დავასვეთ, ჩვეულებრივი, ადამიანური გაძღოლის დროს ხუთ და ათ ამდენ ხალხს დააპურებდა. მაშ ვითომ რა საჭირო იყო, თავი რომ გამოვიდეთ და ზვრილშვილიანა ზელში გავწყდეთ?

ზარშან ამ დროს, გაზაფხულზე, რაჭაში მივდიოდი. მდინარე ფაწის ხეობაში, ჯავის გადასახვევის ზემოთ, ზეაროსთან, ერთ ინტელიგენტურად ჩაცმულ, სქელ-სქელ, შუახნის კაცს დავწევე . ჩემდა გასაკვირად, ამ კაცს სავსე კასრი გამოედგა გზაზე, გამვლელ-გამომვლელს აჩერებდა და ყანწით ღვინოს ასმევდა, მე და ჩემს თანამგზავრსაც ბატონკაცურად მოგვეძალა, გინდათ თუ არა, ყანწი გამომართვით და ოჯახი მიდღეგრძელეთო. ჩვენი ვინაობა არ უკითხავს. ეტყობა, მისთვის ყველა სულ ერთი იყო. დიდი ფულის პატრონი ჩანდა და სიმდიდრეს თვალები ისე აება, შავისა და თეთრის გარჩევის უნარი დაკარგვოდა. ვინ ბრძანდები-მეთქი, მორიდებით ვკითხე. ერთი ჩვეულებრივი ჩარჩი აღმოჩნდა. სამშობლოდან რამდენიმე წლის წინათ გადახვწილი შუა აზიის რომელიღაც რესპუბლიკიდან შინ ბრუნდებოდა. ის იქ, შუა აზიაში, ქართველი იყო, ქართველობით სარგებლობდა, იქაური ადამიანების წინაშე, ვისაც საქართველო, მშრომელი და ალალ-მართალი ხალხის ქვეყანა, თვალითაც არ უნახავს, საქართველოს წარმოადგენდა. ამსიმსხო კაცი, ვინ იცის, იქ რამდენ ხვრელში გაძვრა, ხელი რამდენ სიბინძურეში აურია, ოჯახს და მრავალტანჯულ მშობელ ქვეყანას თავი რამდენჯერ მოსჭრა, რომ ამ გზით ფულის დასტები ჩაეჯიბა და შინ მობრუნებულს ოძელაშვილის სახე მიეღო — გზაზე ლურჯი სუფრა გაეშალა და გამვლელ-გამომვლელისათვის. მტერი იქნებოდა თუ მოყვარე, პატიოსანი თუ ავაზაკი, ყანწით ღვინო მიეწოდებინა. ალბათ ელოდა, ხალხი დამომახსოვრებს და ამ ამბავს ქვეყანას მოჰფენს, პურმარილიანი კაცის სახელი გამოვარდებაო.

ვაი რომ დღემდეც ბევრს უცდია და ღღესაც ბევრი ცდილობს ამგვარი იოლი გზით სახელი მოიხვეჭოს, თავზე დიდების შარავანდედი დაიდგას და ქვეყანა აალაპარაკოს. ვაი რომ ჯერ კიდევ ბევრს ჰგონია, რომ ჭეშმარიტი მამულიშვილი ყოველგვარი ტრადიციის მონა და მორჩილი უნდა იყოს. და თანაც რომელი ტრადიციის? იმ ტრადიციისა, რომელიც არასოდეს, არ ყოფილა ქართული, ქართული ყოფისა და ხასიათის გამომხატველი, არასდროს არ მიუღია თავმოყვარე, ამაყ და შუბლნათელ ქართველ ხალხს თავის წმიდათა-წმიდად, ტრადიცია, რომელმაც შეზღალა ჩვენი უძველესი, ათასწლეულებში გაბოვლილი დიდებული ზნე-ჩვეულებები, ჩვენმა მაშვრალმა, სულით მაღალმა წინაპრებმა რომ გვიანდერძეს.

ის მრავლისმთქმელი სასიკეთო ამპები, რაც ბოლო დროს ჩვენს რესპუბლიკაში ხდება, ყოველი მშრომელი ადამიანის ცხოველ გამოსმაურებას და მხარდაჭერას იწვევს. ჩვენ ბევრი რამ გადავსინჯეთ, ბევრი რამ, რაც გუშინ სხვა შუქში გვეჩვენებოდა, დღეს სხვა თვალით შეეფასეთ და წინსვლის მართალი გზებიც დავსახეთ. რა დასამალია: დღეს საქართველოს, მის ყოველ პატიოსან მოქალაქეს, ბევრი დიდი და ძნელი საქმე აქვს გასაკეთებელი. წინსვლის გზაზე ჩვენ ხელს შეგვშლიან დრეომფეული, ერეს სახის შემარცხვენელი ტრადიციები, რომელთა აღმოფხვრა და უკუგდება ყოველი პატიოსანი მშრომელი ადამიანის წმიდათა-წმიდა ვალია.

მგლის ორმო

• რევაზ ჯაფარიძე •

გული ჩამწყდა. რა ღმერთი გამიწყრა, მე აქ წამოვედმეთქი, გავიფიქრე, მაგრამ გადავწყვიტე, მასპინძლის ხათრით თავი შემეკავებინა და ეს სამსალა ბოლომდე დამელია.

დიახ, ეს მართლაც შხამი და სამსალა იყო. რამდენჯერ სული შეგვიგუბებია და ტრადიციად ქცეული მავნე ჩვეულების მიზითა და რიდით მონუსხულებს ის ჩუმად დაგვილევია, გონებაში გაუაზრებელი ტრადიციის ძალდატანებითა და ჯარნახით რამდენჯერ თვით ჩვენ გვიქნია იმგვარი რამ, რაც არამც და არამც არ უნდა გვქონა და რახაც მთელი შინაგანი გააფთრებით ვეწინააღმდეგებოდით!

ვაითუ უტაქტოდ მოვიქეცი, შუა ქართლის ეს ერთი პატარა სოფელი ქვემო ჭალა რომ დავასახელე. იქნებ უმჯობესი იქნებოდა, ის სულა

აჭარაში მიმოზა აყვავდა. ნ. ანსტასიევის ფოტო.

დღეს საბჭოთა აჭარაში

ორი თეატრის მეგობრობა

ხანგრძლივი ისტორია აქვს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოკრუგისა და აჭარის მშრომელთა ურთიერთობას. შარშან ბლაგოევგრადის თეატრის სცენაზე ქართველმა რეჟისორმა გ. ქუთათელაძემ დადგა ნ. დუმბაძის პიესა, ხოლო ორიოდე თვის წინათ ბულგარელმა რეჟისორმა ი. კალუდოვმა ბათუმის თეატრის სცენაზე დადგა რ. სტოიანოვის პიესა „ოტატენები“.

ახლახან ბათუმში სტუმრად ჩამოვიდნენ ბლაგოევგრადის დრამატული თეატრის დირექტორი ე. კოსტენეკოვი და რეჟისორი კ. ალექსანდროვი. ისინი მასპინძლებს შეეთანხმდნენ, რომ მაისში ბათუმში საგასტროლოდ ჩამოვა ბლაგოევგრადის თეატრის დასი, ხოლო ნოემბერში ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრება ბლაგოევგრადში.

მწერალთა სიტყვა

გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის საერთო კრება, რომელმაც განიხილა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა მომართვა რესპუბლიკის კულტურის ფრონტის ყველა მუშაკისადმი.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ხალვაში. პოეტებმა ნ. ძალაზონიამ, მ. ვარშანიძემ, ზ. გორგილაძემ, შ. ზოიძემ და სხვებმა ანალი შემოქმედებითი ვალდებულებები იკისრეს.

„საიუბილეო-50“

ვაჯამებთ „კომუნისტის“ საკავშირო კონკურსის შედეგებს ეტიუდების შედგენაში

გამარჯვებულნი

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ redაქციის მიერ საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში გამოცხადებულ საკავშირო კონკურსში — „საბჭოთა-50“ გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო 5 პრიზი:

I პრიზი — 100 მანეთი
II პრიზი — 80 მანეთი
III პრიზი — 70 მანეთი
IV პრიზი — 60 მანეთი
V პრიზი — 50 მანეთი

კონკურსის ჟიურიმ — მსოფლიოს ეს-ჩემპიონმა მიხეილ ბოტვინნიკმა და ეტიუდისტმა ვასილ ნემიძემ პირველი სამი პრიზი თანაბარი უფლებით მიანიჭა ვ. ბრონსს (სვერდლოვსკი), დ. ბურმისტროვსა და ბ. ნადარეიშვილს (ორივე — თბილისი) ეტიუდებს. IV პრიზი მიიღო ვ. კალანდაძის (თბილისი), ხოლო V — ბ. ოლიმპიევის (სვერდლოვსკი) ნაწარმოებებმა. მომდევნო ნაშუშვრები აღინიშნა საპატიო და ხაქები შეფასებებით.

საქართველოში მოწყობილმა კონკურსებმა ეტიუდების შედგენაში დიდი ხანია ავტორიტეტი მოიხვეჭეს საჭადრაკო ხელოვნების მოყვარულთა შორის. ხადღესასწაულო საეტიუდო კონკურსმა, რომელიც გაზეთმა „კომუნისტმა“ მოაწყო საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად, ჩვენი ქვეყნის მრავალი წამყვანი კომპოზიტორი მიიზიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გამოგზავნილ ნაწარმოებთა დიდი მაღალი აღმოჩნდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 150 ავტორის 250-მდე ეტიუდი.

კონკურსის საუკეთესო ნაწარმოებების შერჩევა ადვილი არ იყო. ამასთან, ჟიურის წევრებს — „მოჭადრაკესა“ და „ეტიუდისტს“ შორის მოსალოდნელი იყო სხვადასხვაობა შეფასებებში. გაითვალისწინა რა წარმოდგენილი კომპოზიციების შეფასების სიძნელე, ჟიურიმ გადაწყვიტა ეტიუდები შეფასებულიყო სპეციალურად შემუშავებული შკალის მეხედვით. ვინაიდან ეტიუდის შეფასებისათვის ასეთი შკალა არ არსებობს, არბიტრებმა ექსპერიმენტის სახით შემუშავეს მისი შემდეგი სტრუქტურა.

1. **საწყისი პოზიციის ბუნებრიობა.** არაბუნებრივი პოზიცია — 1 ქულა, დამაკმაყოფილებელი — 2, მეტად ბუნებრივი — 3.

2. **ფიგურების რაოდენობა.** ჭარბი რაოდენობა (12 ფიგურაზე მეტი) — 1; ნორმალური რაოდენობა (8-12)—2, მინიატიურა (7 და ნაკლები) — 3 ქულა.

3. **ფიგურების დინამიურობის ხარისხი** (თამაშში აქტიური მონაწილეობის ხარისხი). ხუსტი (ბევრი უძრავი ფიგურის არსებობა) — 1, დამაკმაყოფილებელი — 2, ფიგურების სრული აქტიური მონაწილეობა თამაშში — 3 ქულა.

4. **მასალის გამოყენების ეკონომიურობა.** ზედმეტი მასალის ხიჭარბე — 1, ზედმეტი მასალის დასაშვები რაოდენობა — 2, სრული ეკონომიურობა — 3 ქულა.

5. **შესავალი თამაშის და ფინალის არსებობა.** აკლია ორივე სტადია — 1, აკლია ერთ-ერთი სტადია — 2, არის ორივე სტადია — 3 ქულა.

6. **ამოხსნის სიძრძე.** მოკლემეტრაჟიანი (4-5 ხვლა) — 1, გრძელი ამოხსნა (15 ხვლაზე მეტი) — 2, ნორმალური (6-14 ხვლის ფარგლებში) — 3 ქულა.

7. **ამოხსნის სიძნელე.** ადვილი ამოხსნა — 1, მეტად ძნელი — 2, საშუალო სიძნელის — 3 ქულა.

8. **ჩანაფიქრის ორიგინალობა** (ხიაბლის ხარისხი) — კოეფიციენტი 2. აქვს ნაწილობრივი წინამორბედი, გაუმჯობესება — 1, ორიგინალობის ელემენტი — 2, ხიაბლე (ნაპოვნი) — 3 ქულა.

9. **თემის სირთულე** — კოეფიციენტი 1,5. მარტივი, ადვილი თემა — 1, საშუალო სირთულის — 2, რთული (როგორც წესი, სინთეზი), ძნელად დასამუშავებელი თემა — 3 ქულა.

10. **კონტრთამაშის ხარისხი** — კოეფიციენტი 1,5. ფორსირებული თამაშა — 1, გარკვეული კონტრთამაშის არსებობა — 2, ორმხრივი მძაფრი თამაშა — 3 ქულა.

11. **საერთო მხატვრული შთაბეჭდილება** (მსჯელის გემოვნება). სუსტი ეტიუდი — 2, საშუალო — 3, კარგი — 4, ჩინებული — 5 ქულა.

12. **საერთო შეფასება** — შეფასების ყველა ელემენტის ჯამი.

საეტიუდო კომპოზიციის პირველი 7 ელემენტი მოიცავს ძირითადად ფორმალურ, მაგრამ ამასთანავე შემდგენელის ტექნიკური ოსტატობის მნიშვნელოვან მხარეებს. მომდევნო 3 ელემენტი უკვე ფარმოადგენს ეტიუდის შინაარსის მთავარ განმსაზღვრელს და მოითხოვს მომატებული კოეფიციენტების შემოტანას. უკანასკნელისწინა შეფასება დაკავშირებულია მხატვის გემოვნებასთან და განსაზღვრავს საერთო მხატვრულ შთაბეჭდილებას.

ეი როგორ შეფასდა პირველი ხუთი გამარჯვებული ნაწარმოება ამ ხისტემის მიხედვით:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ვ. ბრონი	2	2	3	3	3	3	3	1×2=2	2×1,5=3	3×1,5=4,5	4	34
დ. ბურმისტროვი	3	2	3	2	3	3	3	2×2=4	1×1,5=1,5	3×1,5=4,5	5	34
ბ. ნადარეიშვილი	2	2	2	2	3	3	3	2×2=4	3×1,5=4,5	3×1,5=4,5	4	34
ვ. ნემიძე	2	2	3	2	3	3	3	2×2=4	2×1,5=3	3×1,5=4,5	4	33,5
მ. ოლიმპიევი	3	2	3	3	2	3	3	2×2=4	1×1,5=1,5	3×1,5=4,5	4	33

ცხრილში თვალნათლივ ჩანს ნაწარმოებების ყოველი კომპონენტის შეფასება. რასაკვირველია, მსჯელი თვლიან, რომ აღნიშნული შკალა შეიძლება არ იყოს ოპტიმალური და მომავალში საჭიროებდეს შესწორებებს. ასევე დასაშვებია, რომ სხვა არბიტრები სხვანაირად შეაფასებდნენ ნაწარმოების ზოგიერთ კომპონენტს. ამასთანავე ჟიური აცნობებს, რომ ეტესპერიმენტი ხაინტერესო აღმოჩნდა და განსხვავებანი რიცხვითსა და ჩვეულებრივ შეფასებებს შორის არ ყოფილა არსებითი. ამიტომ მსჯელები ფიქრობენ, რომ შკალით სარგებლობა შეიძლება ეტიუდების შედგენის სხვა კონკურსებზეც.

ჭადრაკი

1-II-III თანაბარი უფლებით: **ვ. ბრონი** (სვერდლოვსკი) — № 89.



ყაიმი

1. ეh8 ეe1+ 2. მფd8! (2. მფf8? h1ლ 3. ე:h1 ე:h1 4. g7 ე:c1 ან 2. მფd7 (f7)? h1ლ 3. ე:h1 ე:h1 4. g7 ეh7 ყაიმით) ეd1+! 3. მფc8! ეc1+ 4. მფb8! h1ლ 5. ე:h1 ე:h1 6. g7 (6. ე:b2+? მფ:b2 7. g7 მფa1 8. g8ლ b2 9. ლg7 ეh3! 10. ლa7+ მფb1 11. g6 ეh8+ 12. მფc7 ეg8 13. ლa6 ეg7+ 14. მფd8 მფc2 15. ლc4+ მფb1 16. ლf1+ მფa2 ყაიმი) მფa1! 7. ე:b2 ეh8+! 8. მfh! თეთრები იგებენ.

მოხდენილი თამაშა სხვადასხვა საეტიუდო თემების (ფიგურათა გეომეტრიული მოძრაობა, აღების უარყოფა, პატი, პაიკის „სუსტი გაცოცხლება“) სინთეზის ფონზე მიმდინარეობს. ეტლების ეფექტურ ურთიერთშეწირვას თეთრი პაიკის ეტლად გაყვანა აგვირგვინებს.

IV. 3. **კალანდაძე** (თბილისი) — № 80.



ყაიმი

1. b7 ეc5+ 2. ეf5! (2. მფg4? h5+! 3. მფg3 ე:f6 4. b8ლ ეf5 ყაიმი) h6+! 3. მფg4 (3. მფf4? ეa4+ 4. მფg3 ე:f5 5. b8ლ ეg5+ 6. მფf3 ეf5 + 7. მფe3 ეa3+ 8. მფe4 ეaf3 ყაიმი) ეa4+! 4. ეf4 h5+ 5. მფg3 ეc3+ 6. ეf3 h4+ 7. მფg2 ეa2+ 8. ეf2 h3+ 9. მფg1 ე:f2 10. მფ:f2 h2 11. b8ლ! h1ლ 12. ლb1+ ეc1 13. ლd3×

მასშტაბური ნაწარმოები ფიგურების კომპლექსის სისტემატური მოძრაობის (მისი ელემენტები გვხვდება თვით ავტორის ნაწარმოებებში) თემაზე, რომელიც მოულოდნელი ფინალით მთავრდება.

V. ბ. **ოლიმპიევი** (სვერდლოვსკი) — № 18.



ყაიმი

1. e7 ეc2+ 2. მფf8! (2. მფf1? მფg3. 3. g7 მფf3 4. მფg1 ეc5+ 5. მფh1 ეc1+ 6. მფh2 ეg1+ შავები იგებენ) ეc5! 3. g7! (თუ 3. c7!? მაშინ თამაში შავების მე-6 სვლამდე გაგრძელდება ისე, როგორც მთავარ ვარიანტში, ხოლო შემდეგ შავები თამაშობენ 6... მფg3! და იგებენ, რადგან არ არის სვლა 9. მf4!) d5! 4. მფf4 ეd4 5. მფf5 ე:c6! 6. e8ლ! ე:g7 7. ლ:g7 ეc7 8. ლe6! ეe7 9. ლf4! (მაგრამ არა 9. ლd4? მფg3 10. ლc6 ეe4 11. ლe5 ეf4+ მოგებით) და ყაიმია — 9... ეd7 10. მფe6.

ეტიუდი მიმზიდველი თამაშით, რომელიც შემკულია ერთიანი საშამათო მუქარებით. საამაყოდ, ფინალში თამაში უფერულდება.

I-II-III თანაბარი უფლებით: **დ. გურგენიძე** (თბილისი) № 114.



ყაიმი

1. ლg3+ მფd4 2. ეf1 a2 3. ლd1! (3. ლe2+? მფe3 4. ლc3 ეb8+ 5. მფc4 ეb1 6. ლd5+ მფe4 7. ლc3+ მფe5 8. ლ:b1 a1ლ 9. ლd2 ლd4+ შავები იგებენ) მფe5! 4. ლe2 ეb8+! (4... ეc1? 5. ლ:c1 a1ლ 6. ლd3+) 5. მფa3!! ეb1 6. ე:d2 a1ლ+ 7. ეa2! თეთრები იგებენ.

შავი და თეთრი ფიგურების ძმაფრი ჭიდილი ლაზიერის ეფექტური დაჭერით მთავრდება. თამაშიც და ფინალიც შესანიშნავ მხატვრულ შთაბეჭდილებას ქმნის.

I-II-III თანაბარი უფლებით: **ბ. ნადარეიშვილი** (თბილისი). — № 180.



მოგება

1. ეh8 ეe1+ 2. მფd8! (2. მფf8? h1ლ 3. ე:h1 4. g7 ე:c1 ან 2. მფd7 (f7)? h1ლ 3. ე:h1 ე:h1 4. g7 ეh7 ყაიმით) ეd1+! 3. მფc8! ეc1+ 4. მფb8! h1ლ 5. ე:h1 ე:h1 6. g7 (6. ე:b2+? მფ:b2 7. g7 მფa1 8. g8ლ b2 9. ლg7 ეh3! 10. ლa7+ მფb1 11. g6 ეh8+ 12. მფc7 ეg8 13. ლa6 ეg7+ 14. მფd8 მფc2 15. ლc4+ მფb1 16. ლf1+ მფa2 ყაიმი) მფa1! 7. ე:b2 ეh8+! 8. მfh! თეთრები იგებენ.

მოხდენილი თამაშა სხვადასხვა საეტიუდო თემების (ფიგურათა გეომეტრიული მოძრაობა, აღების უარყოფა, პატი, პაიკის „სუსტი გაცოცხლება“) სინთეზის ფონზე მიმდინარეობს. ეტლების ეფექტურ ურთიერთშეწირვას თეთრი პაიკის ეტლად გაყვანა აგვირგვინებს.

სპორტი

1-2 თანაბარი უფლებით: **ა. ხარჩილავი** (ბაკო) — № 5.

თეთრები: მფd1, კh3, ბa4, პb3:c7, g2 (5); **შავები:** მფf6, ეc6, ბd5, პf5 (4) ყაიმი.

1. g4! ე:c7 (1... fg? 2. კ:g4 მe3+ 3. მფa მ:g4 4. მb6! ყაიმი) 2. gf ეc4! 3. ბb2 ეh4 4. კf1 ეh1 5. მფe1 ეe3 6. ბd3! ე:f1 7. ბf2 ეg1 8. ბh3 ეg3 9. ბf2! ეg1 10. ბh3 ეh1 11. ბf1 ყაიმი.

კლასიკური სტილში შედგენილი ეტიუდი. ფინალში თეთრი პაიკის არსებობა ასუსტებს საერთო კარგ შთაბეჭდილებას.

მე-3. **ე. პოგოსიანცი** (მოსკოვი) — № 124.

თეთრები: მფh5, ლc5, მf7, პg5 (4); **შავები:** მფg8, ლd5, მe6, პg7 (4) მოგება.

1. მh6+! მფh7 (1... gh? 2. ლ:d5 და მხედარი დაბმულია) 2. ლc2+ მფh8 3. ლc8+ მf8! (3... მd8? 4. ლ:d8+!) 4. ლ:f8 მfh7 5. ლg8+!! (5. ლf5+? ლ:f5 6. მ:f5 g6+ ყაიმი) ლ:g8 6. g6+ მfh8 7. მf7+ ლ:f7 8. gf g6+ 9. მfh6! თეთრები იგებენ.

დაძაბული თამაშით სავსე ეტიუდი. საწყის პოზიციაში თეთრ ლაზიერს არაბუნებრივი მდებარეობა აქვს.

მე-4 **ლ. მიტროფანოვი** (ლენინგრადი) და **ე. პოგოსიანცი** — № 99.

თეთრები: მფg2, მf4, პb3, d6 (4); **შავები:** მფg5, ეe8 (2) მოგება.

1. d7 ეg8! 2. d8ე+! (2. d8ლ? მfh6+! 3. ლ:g8 პატი) ეe7+! 3. მg6+! ე:g6+ 4. მf:f8 ეg3+ 5. მg4 ე:h3 6. ეh8×

მსუბუქი აგებულების მინიატიურა მოხდენილი ამოხსნით.

მე-5-6. თანაბარი უფლებით: **ნ. კრალინი** (ოსტროვის ოლქი) — № 30

თეთრები: მფd1, ეh5, ბg3 (3); **შავები:** მფa2, კf7, პb:d3, e3 (4) ყაიმი.

1. ეh2+ მფb1! 2.ეe2! კh5 3. g4! კ:g4 4. მფe1 მფc1! 5. ე:e3 d2+ 6. მფf1! (6. მფf2? d1მ+ 7. მფg3 მ:e3 8. მფf4 მფd2 შავები იგებენ) მფc2 7. ეe1 მფb2! 8. მფf2! ყაიმი.

კლასიკური მემკვიდრეობის შემოქმედებითი დამუშავების კარგი მაგალითი. ო. დელერის ცნობილ ეტიუდში შავი მეფის სხვა უჯრაზე დასმამ ახალი ფინალური თამაში წარმოშვა.

მე-5-6 თანაბარი უფლებით: **ე. პოგოსიანცი** — № 123.

თეთრები: მფc2, პb:a2, b3, f6, g4 (5); **შავები:** მფa3, კa4, პb:b4, f7 (4) ყაიმი.

1. მფb1! (1. ba? მფ:a2 2. g5 b3+ შავები იგებენ) კd7 2. g5 კf5+ 3. მფa1 კe6 4. მფb1 კd5 5. მფa1 კe6 6. მფb1 კf5+ 7. მფa1 კh7! 8. g6 კg8! 9. g7! (9. gf? კ:f7 10. მფb1 კe8 11. მფa1 კg6! 12. f7 კ:f7 13. მფb1 კ:b3! შავები იგებენ) კh7 10. g8ლ კ:g8 11. მფb1 კh7+ 12. მფa1 კg8 13. მფb1 ყაიმი.

თეთრი მეფისა და შავი კუს საინტერესო დუელი „სიმაგრის“ თემაზე.

მე-7. **დ. ბურგენიძე** — № 116

თეთრები: მფa1, მb1, პb:a3, b4, c3, d2, e4, f5, h4 (9); **შავები:** მფb8, ეa6, პb:a4, b5, c4, d3 (6) ყაიმი.

1. e5 ეa8! შავების გეგმაა — დაიშამათონ ეტლით მეფე a2 უჯრიდან. 2. f6! თუ 2. e6? მაშინ ეe8! 3. h5 და თეთრები იგებენ, რადგან ლაზიერი d1 უჯრაზე ველარ შეიჭრება. 2... ეg8 3. f7 ეg1 4. f8ლ ეc1 5. ლf8! ეc2 6. ლd1 პატი!

ორიგინალური დამუშავება თემისა — „პატი შავებს“.

მე-8. **ნ. კრალინი** — № 31.

თეთრები: მფa8, მg2, პb:h5, h6 (4); **შავები:** მფf5, ეb5, მc1 (3) მოგება.

1. h7 ეa5+ 2. მფb7 ეb5+ 3. მფc7 ეc5+ 4. მფd7 ed8! 5. მe3+! მფe4 6. მg4! (6. h8ლ? მe5+ 7. მფe7 ეc7+ 8. მფf6 ეc6+ ყაიმი) ე:h5! 7. მf6+ მფf5 8. მ:h5 ეe5+ 9. მფe8(c7) მg6 10. მფf7 მფg5 11. მf6! (11. მf4? მfh6 12. მფg8 მe7 13. მfh8 მf5 14. მd5 მfg6 15. მfg8 მh6+ ყაიმი) მfh6 12. მfg8 მe7+ 13. მff8! მg6+ 14. მff7 ცუგცვანგი — თეთრები იგებენ, მაგალითად 14.. მe5+ 15. მfg8 მg6 16. მg4+ მfg5 17. მe5 და ა. შ.

საინტერესო დინამიკური თამაში შედარებით მკრთალი ფინალით.

ხაკატი შეფასებები

1-2 თანაბარი უფლებით: **ალ. კუზნეცოვი** (მოსკოვი) და **ვ. ნეიშტადტი** (ბარნაული) — № 150.

თეთრები: მფg7, ეe4, კb4, მf5, პb:a6, d6 (6); **შავები:** მფd8, ლf2, მg5, პb:c7, d7 (5) ყაიმი.

1. a7 ლ:a7 2. ეe8+! მფ:e8 3. dc ბe6+ 4. მfh7! ბ:c7 (4... ლ:c7? 5. მd6+ მფd8 6. კa5+! ყაიმი) 5. მd6+ მფd8 6. კd2! ბe6 (6... ლg1 7. კg5+! ან 6... მd5 7. კg5+ მფc7 8. მb5+ ყაიმით) 7. კa5+! ბc7 8. კd2! ყაიმი.

მოხდენილი ეტიუდი. სამწუხაროდ, მსგავსი ფინალები გვხვდება სხვა ავტორების ნაწარმოებებში (მაგალითად, ა. გერშტანი, II პრიზი „ახმატი 3 სსსრ“, 1956; ს. ბელოკონი, მე-2 სპ. შეფ. „სტელა პოლარისი“, 1967).

1-2 თანაბარი უფლებით: **ე. პოგოსიანცი** — № 121.

თეთრები: მფc7, მe6, მh3, პc6 (4); **შავები:** მფa8, პb:a6, b3, c3 (4) ყაიმი.

1. მhf4! b2 2. მd5 b1ლ 3. მb6+ მფa7 4. მc8+ მფa8 5. მb6+ ლ:b6+ 6. მ:b6 c2 7. მc7+! (7. c7? c1ლ 8. c8ლ+ ლ:c8 9. მc7+ ლ:c7+ შავები იგებენ) მfb8 8. მe8! (8. მd5? c1ლ 9. c7+ მfa8 10. მe7 ლe3+! 11. მfc6 ლe6+ შავები იგებენ) c1ლ 9. c7+ მfa8 10. მd6! a5! 11. c8ლ+ ლ:c8 12. მ:c8 a4 13. მfa6! (13. მfb5? a3 14. მb6+ მfa7! 15. მc8+ მfb8! შავები იგებენ) a3 14. მb6+ მfb8 15. მd7+ მfc7 16. მc5 a2 17. მb8 ყაიმი.

ეტიუდის ფინალურ ნაწილს გარკვეული თეორიული მნიშვნელობა აქვს.

მე-3. **ლ. კაცნელსონი** (ლენინგრადი) და **ლ. მიტროფანოვი** — № 97.

თეთრები: მფg3, ლc1, ეf4, პg6 (4); **შავები:** მფd7, ლa7, ეe6, მg4, მh8, პg7 (6) ყაიმი.

1. ლd1+ მფe7 2. ლ:g4 ლb8+ (2... ე:g6? 3. ეe4+ მფd6 4. ლd1+ მfc6 5. ეc4+) 3. მfh7 მ:g6 4. ეf7+! მფ:f7 5. ლ:g6+! (5. ლf4+? ეf6! 6. ლc7+ მe7 შავები იგებენ) მfe7 6. ლf7+! მfd6 7. ლf8+! მfc7 8. ლf7+ მfd6 9. ლf8+ ყაიმი.

საინტერესო ჩანაფიქრი. სამწუხაროდ, უხეში ფიგურული თამაში აფუჭებს შთაბეჭდილებას.

მე-4-5 თანაბარი უფლებით: **ა. კაკოვინი** (ბრიანსკი) — № 47.

თეთრები: მფa1, ლd3, ეg5, კc7, პb:a2, b6, d5, d6, f3, f4 (10); **შავები:** მfh6, ლb4, კd4, პb:a4 b7, c3, d7, e5, f5 (9) ყაიმი.

1. ლc2 ლb2+ 2. ლ:b2 c2 3. ეg1 a3 4. ლ:d4 ed 5. კd5 d8 6. კf6 d2 7. კg7+ მfh5 8. ეh1+ მfg6 9. ეh6+! მf:f7 10. ეf6+ მfg8 11. ეf8+ და ა. შ. ან 7... მfh7 8. ეh1+ მfg8 9. ეh8+ ყაიმი.

მშვენიერ ბრძოლა ფიგურების ცნობილი ორმხრივი ტრიალით მთავრდება.

მე-4-5 თანაბარი უფლებით: **ლ. მიტროფანოვი** და **ე. პოგოსიანცი** — № 98

თეთრები: მფd1, ლe2, (2); **შავები:** მfb1, ლc6, პb:b6, c3, f2 (4) ყაიმი.

1. ლb5+! მfa1 2. ლa6+ (2. ლ:c6? f1ლ+ 3. მfc2 ლb1+ 4. მfc3 ლc1+ 5. მfb4 ლ:c6 შავები იგებენ) მfb2 3. ლb5+ მfa2 4. ლ:c6! f1ლ+ 5. მfc2 ლb1+ 6. მfc3 ლc1+ 7. მfb4 ლ:c6 პატი.

ამ მასალით შედგენილი მინიატიურა აშკარაა. თამაშს ფორსირებული ხასიათი აქვს.

მე-6-7 თანაბარი უფლებით: **ბ. დოლგოვი** (ერასნოდარის მხარე) და **ბ. სიდორენკოვი** (აფშერონსკი) — № 19.

თეთრები: მფe7, კd2, პa2 (3); **შავები:** მფa4, კc7, მb1, ბe6 (4) ყაიმი.

1. კe3! e5 2. მfd7 კb8 (2... კa5 3. მfe6 კc3 4. მfd5 მfb5 5. კa7 ბa3 6. კb8 მc4 7. a4+ ყაიმი) 3. მfc8 კd6 4. მfd7 კf8 (4... კa3 5. მfe6 კb2 6. კh6 e4 7. მf5 მc3 8. კd2 ყაიმი) 5. მfe6! კg7 6. მf7 კh8 7. მfg8 კf6 8. მf7 კd8 9. მfe6! კc7 10. მfd7 ყაიმი.

ფინალური ნაპოვნი — შავი კუს მუდმივი დევნა სტატისტების გარემოცვაში ხდება.

მე-6-7 თანაბარი უფლებით: **ბ. ეპრეინოვი** (სარატოვი) — № 34.

თეთრები: მფc3, ეg4, კf4, პb:d6, f6 (5); **შავები:** მfh7, ეa4, ეb4 (3) მოგება.

1. f7 ეc4+ 2. მfd3 ეc8 3. d7 ეd8 4. კd6! ეa7! (4... ე:g4? 5. f8ლ ე:f8 6. კ:f8 ან 4... ეaa8 5. f8ლ ე:f8 6. კ:f8 ე:f8 7. ეd4 თეთრები იგებენ) 5. ეg7+! მფ:g7 6. f8ლ+ ე:f8 7. კ:f8+ მფ:f8 8. d8ლ+ თეთრები იგებენ.

ეტიუდი პრაქტიკული პარტიის ეფექტურ ფინალს გვაგონებს.

მე-8 **ა. ბრონი** (მოსკოვი) — № 81.

თეთრები: მფg7, ეc4, პb:d4, d6, e2, f4, g2, g3, h3 (9); **შავები:** მfd8, ლe8, პb:d7, e3, f5, h4 (6) ყაიმი.

1. d5 ლh5 2. ეc2 hg 3. ეa2 მfc8 4. ეb2 ლh4 5. ეb4 ლd8 6. ეb5 ლe8 7. ეb4 ლh5 8. ეb2 ყაიმი.

ეტლისა და ლაზიერის დიდი მეტად ხელოვნური სპაიკოსტრუქტურის ფონზე ხდება.

საბოლოო შედეგები ძალაში შევა გამოქვეყნებიდან 2 თვის შემდეგ.

კონკურსის ჟიური:
მსოფლიოს ეს-ჩემპიონი **მ. ბოტვინნიკი** (მოსკოვი), **ვ. ნეიშტადტი** (თბილისი).

კალათბურთი

მეათე ღამარცხება

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობის („ა“ კლასის უმაღლესი ლიგა) ერთ-ერთი (ცენტრალური მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ცსკა-ს გუნდებს შორის.

ჩემპიონები გამოდიოდნენ ტარავმირებული ანდრეევისა და დისკვალიფიცირებული ჟარმეხამედოვის გარეშე. მიუხედავად ამისა, სტუმრებმა დამაჯერებლად წარმართეს თამაში და მიმდინარე გათამაშებაში მეცხრამეტე გამარჯვება მოიპოვეს — 96:79 (46:40).

ორმოცეულებს 22 ქულა მოუტანა კოვალენკომ. აღსანიშნავია, რომ დინამოელმა ბიეშიაშვილმა ამ დღეს კიდევ უფრო მეტი — 26 ქულა შეესინა თავის გუნდს. მაგრამ პარტნიორებმა მას ნაკლებად აუბეს მხარი.

სტუმრებმა გაიმარჯვეს საბოლოოდ 2 ქულით. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა ჩემპიონმა.



19 მარტი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — შ. აზმაიფარაშვილი. სიმფონიური პოემა „ყვავილის მთებს“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვი), 08.10 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვი), 11.05—ო. გორდელი. საფორტეპიანო კონცერტი, 11.45 — რადიოსარკვევი „თბილისის მწვანე სამოსი“, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, 12.30 — „ბუშთა რადიოგაზეთი“. რეპორტაჟი თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნიდან (მოსკოვი), 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ქართული ხალხური მუსიკა, 14.00 — კ. მოღოწინოვი. ოპერა „უცნობი ჯარისკაცი“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „თეთრად ფრიალებს აფრა ეული“, 17.55 — საქალაქო სატრანსლაციო ქსელით — განცხადებები, რადიოსადგურებით — მუსიკა, 18.05 — ა. მაჭავარიანი. კამერული მუსიკა, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — საორკესტრო პიესები ანსამბლ „მელოდიას“ შესრულებით, 19.00 — „ეკონომიური ციდნის საფეიქრელები“. „კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობის საბჭოთა მეურნეობის ტრესტი“. საუბარი „შრომითი კოლექტივი საბჭოთა საზოგადოების ძირითადი უჯრედია“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — საუბარი „მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური საკუთრება“, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — ა. ბუკია. ოპერა „ყვავილთა სამყაროში“, 21.45 — ა. დვორჟაკი. სავიოლონჩელო. კონცერტი, 22.50 — „ხვალ — რადიოთი“, 23.30 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

18 მარტი

პირველი პროგრამით

ტელევიზია

მეორე პროგრამით

17.15 — სკოლების დასასმარებლად — გაკვეთილი ქიმიაში (მეცხრეკლასელთათვის. „ენგელა-ადდგენის ნეიტრალი“), 18.00 — გაკვეთილი საქართველოს ისტორიაში (მერვე, მეათეკლასელთათვის, „ოსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეში“). 18.45 — განცხადებები. 18.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლოტერია ზოგად ქიმიაში, 19.50 — მხატვრული ფილმი „ოსეთის იმპერიის მონაპოვარი“ (II სერია).

19 მარტი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — შ. აზმაიფარაშვილი. სიმფონიური პოემა „ყვავილის მთებს“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვი), 08.10 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვი), 11.05—ო. გორდელი. საფორტეპიანო კონცერტი, 11.45 — რადიოსარკვევი „თბილისის მწვანე სამოსი“, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, 12.30 — „ბუშთა რადიოგაზეთი“. რეპორტაჟი თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნიდან (მოსკოვი), 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ქართული ხალხური მუსიკა, 14.00 — კ. მოღოწინოვი. ოპერა „უცნობი ჯარისკაცი“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „თეთრად ფრიალებს აფრა ეული“, 17.55 — საქალაქო სატრანსლაციო ქსელით — განცხადებები, რადიოსადგურებით — მუსიკა, 18.05 — ა. მაჭავარიანი. კამერული მუსიკა, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — საორკესტრო პიესები ანსამბლ „მელოდიას“ შესრულებით, 19.00 — „ეკონომიური ციდნის საფეიქრელები“. „კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობის საბჭოთა მეურნეობის ტრესტი“. საუბარი „შრომითი კოლექტივი საბჭოთა საზოგადოების ძირითადი უჯრედია“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — საუბარი „მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური საკუთრება“, 20.00 — უკან